პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 78 (9546) ხუთშაბათი, 2 აპრილი, 1953 წ. ფასი 20 კაპ.

## ვაშენოთ ახლებურად, სწრაფად, მაღალხარისხოვნად

ომისშემდგომ წლებში სწრაფი ტემპით განვითარდა ჩვენი სოციალისტური მრეწველობის საწარმოო ტექნიკური ბაზა როგორც ახალ საწარმოთა მშენებლობით, ისე მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციით. აღსანიშნავია, რომ მარტო 1946-1951 წლებში სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხიდან, რაც 500 მილიარდ მანეთს შეადგენდა, მრეწველობის ახალ საწარმოთა მშენებლობასა და არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქციას მოხმარდა 320 მილიარდზე მეტი მანეთი. ამ ხნის განმავლობაში აღდგენილ, აგებულ იქნა და ამუშავდა 7 ათასამდე დიდი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო.

ჩვენი პარტიის XIX ყრილობამ საბჭოთა ხალხს მეხუთე სტალინური ხუთწლედისათვის ამ დარგში დიდი ამოცანები დაუსახა: „ეს ამოცანები ის არის, — აღნიშნავდა ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგი გ. მ. მალენკოვი, — რომ ავამაღლოთ სამრეწველო წარმოების დონე 1955 წელს დაახლოებით 70 პროცენტით 1950 წელთან შედარებით, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება უნდა გაიზარდოს დაახლოებით 80 პროცენტით და მოხმარების საგნების წარმოება დაახლოებით 65 პროცენტით. ასეთი დავალება სამრეწველო წარმოების ზრდის მხრივ ნიშნავს, რომ 1955 წელს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1940 წელთან შედარებით ერთისამად გაიზრდება“.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ახალმშენებლობებზე და მრეწველობაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, მასები უმაგალითო თავდადებითა და შეუპოვრობით აძლიერებენ მუშაობას მეხუთე სტალინური ხუთწლედის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. ყოველი საბჭოთა ადამიანი ცდილობს დაუღალავად იშრომოს, დიდი სტალინის ხსოვნის უკვდავსაყოფად ამრავლოს თავისი ღონისძიებანი ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის განხორციელებისათვის, ზარდოს თავისი წვლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

1953 წელს საქართველოს ახალმშენებლობათა კოლექტივების წინაშე განსაკუთრებით დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანები დგას. ჩვენმა ირიგატორმა და მელიორატორმა მშენებლებმა წელს რესპუბლიკის საერთო სათეს ფართობს უნდა შემატონ (გარდა სამგორისა და კოლხიდის ახლად ათვისებული მიწებისა) 17 ათასზე მეტი ჰექტარი ფართობი. გარდა ამისა, სამგორელმა მშენებლებმა წელს მრავალი ათასი ჰექტარი უნდა გადააქციონ სარწყავად და ძირითადად დაამთავრონ სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის აშენების სამუშაოები. რესპუბლიკას წელს მრავალი ათასი ჰექტარი სათესი ფართობი უნდა შემატონ მუხრანის ველის სარწყავი სისტემის მშენებლებმაც.

საქართველოში დიდი მასშტაბის ენერგეტიკული მშენებლობაა გაჩაღებული. ჩვენი ენერგეტიკოსი მშენებლები თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ შედარებით მოკლე დროში გადააქციონ საქართველო იაფი და ჭარბი ელექტროენერგიის რესპუბლიკად, მიმართულება შეუცვალონ მდინარეებს და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დასაჩქარებლად გამოიყენონ ის აურაცხელი ჰიდროენერგეტიკული რესურსები, რასაც ჩვენი მდინარეები შეიცავენ. ამასთან ჩვენს რესპუბლიკაში წელს ისეთი ფართო მასშტაბის სამრეწველო, საქალაქო და საბინაო მშენებლობაა გაშლილი, რომლის მსგავსი არ ახსოვს მის ისტორიას. წელს უნდა დაიწყოს ახალი დიდი მშენებლობანი ქალაქ რუსთავში და უნდა დამთავრდეს მის მთელ რიგ დიდ სამრეწველო ობიექტთა აგება, ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობა, ქარსაცავი ტყის ზოლების გაფართოება. თბილისში ორთაჭალჰესის მიდამოებიდან ბარათაშვილის ხიდამდე უნდა დამთავრდეს სანაპირო ქუჩათა საყრდენი კედლების აგება, თვით ორთაჭალჰესის აგება და აგრეგატების მონტაჟი, ღრმაღელე-ავჭალის მაგისტრალის გაყვანა და კეთილმოწყობა, დიდუბის ხიდის მშენებლობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ახალი წყებების აგება და შიგ მობინადრეთა ჩასახლება, მთელი რიგი სხვა, უაღრესად მნიშვნელოვანი სამუშაოები.

გაშლილი ფრონტით წარმოებს ახალი მშენებლობანი სუხუმში, ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში, ტყიბულში, ტყვარჩელში, რესპუბლიკის ყველა რაიონსა და კუთხეში.

გაზაფხული უკვე დადგა, დაიწყო მშენებელთათვის წლის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი, როცა მათ მეტი შესაძლებლობა აქვთ სრული დატვირთვით გამოიყენონ სამშენებლო მექანიზმები, მდიდარი სამშენებლო ტექნიკა, რომლითაც ისინი სამშობლომ აღჭურვა. საქმე ახლა ის არის, რომ უკეთესად მოეწყოს შრომა ყველა სამშენებლო ობიექტზე, მიღწეულ იქნას ცალკე სამუშაო პროცესების ინტენსიფიკაცია, შრომის რაციონალური მოწყობის შედეგად ცალკე სამშენებლო სამუშაოთა ციკლის შემოკლება, სამუშაოთა გრაფიკის ზუსტად დაცვა.

მშენებლებს სამშენებლო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისა და საშენ მასალათა ეკონომიის მიღწევის დიდი შესაძლებლობები აქვთ. იშვიათია ისეთი სამშენებლო მოედანი, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, სადაც მკაფიოდ იგრძნობოდეს საშენი მასალების მომჭირნეობით ხარჯვის კულტურა. აგური მიმოფანტულია, ტყდება, ცემენტი დაბნეულია, ხსნარს ხშირად დაუკვირვებლად აკეთებენ, შენობათა შელესვის დროს ხსნარის დანაკარგები აქვთ. ყოველივე ეს იწვევს ხარჯების გადიდებას, სამშენებლო სამუშაოთა თვითღირებულების ზრდას. ცნობილია, რომ რამდენადაც მაღალხარისხოვნად სრულდება სამშენებლო სამუშაო, რამდენადაც მაღალია შრომის ნაყოფიერება და მშენებლობის ტემპი, იმდენად იაფი უჯდება სახელმწიფოს ესა თუ ის მშენებლობა.

შრომის ნაყოფიერების ზრდა დიდად არის დამოკიდებული მომუშავეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ მშენებლობებზე არასახარბიელო მდგომარეობაა. საქართველოს შახტმშენებლობის ტრესტი, ტყიბულშახტმშენი და ამიერკავკასიის მეტალურგმშენი ვერ ასრულებენ მშენებლებისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლების აგების გეგმას. ტრესტების ქუთაისმშენისა და თბილისმშენის მთელ რიგ საერთო საცხოვრებელ სახლებში მშენებლებს შექმნილი არა აქვთ კულტურულად დასვენების ნორმალური პირობები. ბევრგან საერთო საცხოვრებლები გადატვირთულია, მუშათა სასადილოები ცუდად მუშაობენ, წითელი კუთხეები მოუწყობელია, საბავშვო დაწესებულებათა ქსელი მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ეს ნაკლი იგრძნობა, მაგალითად, ტყიბულში, ჭიათურაში, რუსთავში. ცხადია, ყოველივე ეს გავლენას ახდენს მშენებელთა შრომის ნაყოფიერებაზე.

საბინაო მშენებლობის დარგში გადაუდებელ ამოცანად რჩება მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვა და ეგრეთწოდებული დიდპანელიანი ბინათმშენებლობის საკითხის მოგვარება. საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ მოსკოველ მშენებელთა მიერ დიდპანელიან ბინათმშენებლობაში მიღებული გამოცდილების ფართოდ გადმონერგვა ჩვენს რესპუბლიკაში.

საქართველოს ახალმშენებლობათა კოლექტივებს ყოველდღიური დახმარება და მზრუნველობა უნდა გაუწიონ ადგილობრივმა საბჭოთა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. ეს დახმარება იმის საწინდარი იქნება, რომ ჩვენი მშენებლები წარმატებით განახორციელებენ იმ დაპირებას, რომელიც მათ სამშობლოს, პარტიას მისცეს ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო საბჭოთა ხალხის უდიდესი გლოვის დღეებში.

## კასპის ცემენტის ქარხანამ შეასრულა კვარტალური გეგმა

კასპი. 28 მარტს კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა შეასრულა ცემენტის გამოშვების კვარტალური გეგმა.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია ცემენტის საფქვავი საამქროს იმ ცვლამ, რომელსაც ა. პავლიაშვილი ხელმძღვანელობს. გამოშვებული პროდუქციის ახალმშენებლობებზე გაგზავნის ამოცანას კარგად გაართვა თავი სატრანსპორტო საამქრომ.

კასპელმა მეცემენტეებმა ახალი ძალით გაშალეს საპირველმაისო შეჯიბრება და იკისრეს მეორე კვარტალის გეგმა ვადაზე 5 დღით ადრე შეასრულონ.

## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის განცხადება კორეის საკითხზე

28 მარტს გამოქვეყნდა კორეის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლის კიმ ირ სენისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდლის პინ დე-ხუეის საპასუხო წერილი კორეაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ კლარკის სახელზე — ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ.

ამ წერილში გამოთქმულია თანხმობა ორივე მხარის ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლაზე და აღნიშნულია, რომ ამ საკითხზე ფაქტიურად უკვე იყო მიღწეული შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების მსვლელობაში და რომ მხოლოდ პანმინჯონში მოლაპარაკების შეწყვეტამ შეუშალა ხელი იმას, რომ ეს გაცვლა უფრო ადრე მომხდარიყო. ამასთან გამოთქმულია თანხმობა, რომ ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლა მოხდეს ჟენევის კონვენციის 109-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, კონვენციისა, რომელიც საომარი მოქმედების პერიოდს შეეხება. ამასთან ერთად წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების ასეთ გაცვლას უნდა მოჰყვეს სამხედრო ტყვეთა მთელი პრობლემის შეუფერხებელი მოწესრიგება და, ამით, კორეაში დაზავების მიღწევა. ამ მიზნით წამოყენებულია წინადადება დაუყოვნებლივ განახლდეს მოლაპარაკება პანმინჯონში.

ამის შემდეგ პეკინში გამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი და ფხენიანში — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი. როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, ისე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადეს, რომ ისინი ეთანხმებიან წინადადებას ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ და კვლავ გამოთქვამენ მზადყოფნას — მიღწეულ იქნას შეთანხმება სამხედრო ტყვეთა მთელი პრობლემის დაუყოვნებლივ მოწესრიგებაზე და, ამრიგად, კორეაში ომის შეწყვეტაზე.

ამით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებმა კვლავ გამოიჩინეს ინიციატივა კორეაში დაზავებასა და ომის შეწყვეტაზე შეთანხმების მიღწევის საქმეში.

მე დავალებული მაქვს განვაცხადო, რომ საბჭოთა მთავრობა სავსებით ეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ამ კეთილშობილურ აქტს და ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ამ აქტს მხურვალედ დაუჭერენ მხარს მთელი მსოფლიოს ხალხები. საბჭოთა მთავრობა აგრეთვე რწმენას გამოთქვამს, რომ ამ წინადადებას სწორად გაიგებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა.

საბჭოთა მთავრობა მუდამ უჭერდა მხარს ყოველ ღონისძიებას, რომლის მიზანი იყო კორეაში სამართლიანი დაზავება და ომის შეწყვეტა.

ამას საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ი. ბ. სტალინის პასუხში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ნერუს მიმართვაზე ჯერ კიდევ 1950 წლის ივლისში.

როგორც ცნობილია, უშიშროების საბჭოში სსრ კავშირის წარმომადგენლის 1951 წლის ივნისის გამოსვლა რადიოთი ნიუ-იორკში გახდა იმის საფუძველი, რომ დაწყებულიყო მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ. დაზავების შესახებ ამ მოლაპარაკებას, რომელიც ჯერ კესონში, ხოლო შემდეგ პანმინჯონში მიმდინარეობდა, მოჰყვა შეთანხმება დაზავების ყველა პირობაზე, გარდა სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხისა. მაგრამ დაზავების შესახებ მოლაპარაკება გენერალმა კლარკმა შეწყვიტა გასული წლის ოქტომბერში, რამაც შეაფერხა დროებითი ზავის დადება.

ჩინეთ-კორეის მხარემ მიიღო გენერალ კლარკის წინადადება იმის შესახებ, რომ ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლა მოხდეს სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ ჟენევის 1949 წლის კონვენციის 109-ე მუხლის შესაბამისად.

ამ მუხლში ნათქვამია:

„გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-3 აბზაცში, კონფლიქტის მონაწილე მხარეები ვალდებული იქნებიან შემდეგი მუხლის I აბზაცის შესაბამისად სამშობლოში გაგზავნონ მძიმე ავადმყოფი და მძიმედ დაჭრილი სამხედრო ტყვეები, მიუხედავად მათი წოდებისა და რაოდენობისა მას შემდეგ, რაც მათ მოიყვანენ ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელი იქნება მათი გადაყვანა.

საომარი მოქმედების დროს კონფლიქტის მონაწილე მხარეები ეცდებიან, შესაბამის ნეიტრალურ სახელმწიფოთა ხელშეწყობით, მოაწყონ შემდეგი მუხლის მე-2 აბზაცში აღნიშნული დაჭრილი და ავადმყოფი სამხედრო ტყვეების ჰოსპიტალიზაცია ნეიტრალურ ქვეყნებში. მათ შეუძლიათ, გარდა ამისა, დადონ შეთანხმებანი იმ ჯანმრთელი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის ან ნეიტრალურ ქვეყანაში ინტერნირების შესახებ, რომლებმაც დიდი ხანი დაჰყვეს ტყვეობაში. ამ მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით სარეპატრიაციოდ დანიშნული არც ერთი დაჭრილი ან ავადმყოფი სამხედრო ტყვე არ შეიძლება რეპატრიირებულ იქნას თავისი სურვილის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დროს“.

ჟენევის კონვენციის ეს მუხლი ეხება პერიოდს დაზავების დადებამდე, როცა საომარი მოქმედება ჯერ კიდევ არ არის შეწყვეტილი. რამდენადაც ამ მუხლის გამოყენების შესახებ შეთანხმება ახლა მიღწეულია და შეიძლება ხელმოწერილ იქნას ორივე მხარის მიერ უახლოეს დღეებში, არაფერი დააბრკოლებს იმას, რომ ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლა დაიწყოს შემდგომ გაუჭიანურებლად.

კორეის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლის კიმ ირ სენის და ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდლის პინ დეხუეის ზემოხსენებულ წერილში არა მარტო გამოთქმულია თანხმობა გენერალ კლარკის 22 თებერვლის წინადადებაზე ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლის საკითხში, არამედ მოცემულია წინადადებაც განახლდეს მოლაპარაკება დაზავების შესახებ, რათა ბოლო მოეღოს ომს კორეაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საგარეო საქმეთა მინისტრ ჯოუ ენ-ლაის 30 მარტის განცხადებაც, რომელიც ერთობლივად შემუშავებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობების მიერ, შეიცავს წინადადებას არა მარტო განხორციელდეს ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა გაცვლა, არამედ აგრეთვე გადაწყდეს სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხი მთლიანად, რასაც მოჰყვება დაზავების შესახებ შეთანხმების დადება და კორეაში ომის შეწყვეტა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თავის მხრივ წინადადებას იძლევიან ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა საკითხის გონივრული მოწესრიგებისთანავე გადაწყდეს სამხედრო ტყვეთა მთელი საკითხი, რათა ორივე მხარემ იხელმძღვანელოს იმისადმი გულწრფელი მისწრაფებით, რომ კორეაში მიღწეულ იქნას დაზავება ურთიერთ კომპრომისის სულისკვეთებით.

რასაკვირველია, სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხი მთლიანად უნდა გადაწყდეს აგრეთვე ჟენევის კონვენციის დებულებათა შესაბამისად, რასაც, ბუნებრივია, მტკიცედ მოითხოვდნენ, როგორც საბჭოთა მთავრობა, ისე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები. მაგრამ არც ხანგრძლივ მოლაპარაკებას პანმინჯონში, არც ამ საკითხის მრავალგზის განხილვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში, როგორც ცნობილია, დადებითი შედეგები არ მოჰყოლია.

რამდენადაც ეს საკითხი ერთადერთ უთანხმოებად დარჩა კორეაში მეომარ მხარეთა შორის, უთანხმოება, რომელიც ელობებოდა დაზავების შესახებ შეთანხმებას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელნიც ხელმძღვანელობენ კორეაში მშვიდობის მიღწევისა და ომის დამთავრებისადმი მისწრაფებით, ახალი ნაბიჯი გადადგეს ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის. მათ წინადადება შეიტანეს, რომ ორივე მხარემ განაახლოს მოლაპარაკება დაზავების შესახებ და იკისროს ვალდებულება საომარი მოქმედების შეწყვეტისთანავე განახორციელონ მათ ხელში მყოფი ყველა იმ სამხედრო ტყვის რეპატრიაცია, რომლებიც მოითხოვენ რეპატრიაციას, ხოლო დანარჩენი სამხედრო ტყვეები გადასცენ ნეიტრალურ სახელმწიფოს, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი რეპატრიაციის საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა. ასეთი წინადადება შესაძლებელს გახდის სამართლიანად გადაწყდეს სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხი და აღმოიფხვრას დარჩენილი დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან კორეაში დაზავების განხორციელებას.

სრულიად უეჭველია, რომ მთელი მსოფლიოს ხალხები და ყველა ადამიანი, ვინც გამსჭვალულია პატიოსანი მისწრაფებით — ბოლო მოუღოს კორეის ომს და ხელი შეუწყოს შორეული აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, ამ წინადადებას შეხვდებიან მხურვალე თანაგრძნობით და სავსებით დაუჭერენ მას მხარს.

საბჭოთა მთავრობა აღიარებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ამ წინადადების მთელ სამართლიანობას და აცხადებს, რომ მზად არის სავსებით შეუწყოს ხელი მის განხორციელებას.

ბუნებრივია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მეტი შეეძლო გაეკეთებინა კორეაში დაზავებისა და ომის შეწყვეტისათვის, მის შემადგენლობაში ჩინეთისა და კორეის კანონიერი წარმომადგენლები რომ იყვნენ. ის ფაქტი, რომ ჩინელ ხალხს და კორეელ ხალხს არა ჰყავთ თავიანთი კანონიერი წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ჯერ-ერთი, ძირს უთხრის ამ ორგანიზაციის ავტორიტეტს, ხოლო მეორე, შესაძლებლობას უსპობს მას ჯეროვნად შეუწყოს ხელი საერთაშორისო უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია კვლავ განაცხადოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინელი ხალხისა და კორეელი ხალხის უფლებების აღდგენის საკითხი ერთ-ერთი გადაუდებელი საკითხია და რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთისა და კორეის უფლებების აღდგენა, განსაკუთრებით ახლანდელ პირობებში, შესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ამაღლების ინტერესებს და ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

## საქართველოს მშრომელები შრომითი აღმავლობით უპასუხებენ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის სტალინურ ზრუნვას

### ხალხისადმი დიდი ზრუნვის მკაფიო დემონსტრაცია

ჯერ ისევ დუმდნენ ჩარხები, ჯერ კიდევ არ შესდგომოდა თავის ყოველდღიურ საქმიანობას სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა. სამუშაოდ ადრე მოსულ მუშათა ჯგუფებს კიდევ და კიდევ ემატებოდნენ ამხანაგები, გაცხოველებით მსჯელობდნენ წინაღამით რადიოთი გადმოცემული სასიხარულო ცნობის — სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ახალი შემცირების შესახებ.

საწარმოში ათასხუთასამდე მუშამ მოიყარა თავი სახელდახელო მიტინგზე.

— საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, — თქვა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. ნინოშვილმა, — ღრმა კმაყოფილებითა და დიდი სიხარულით შეხვდა ჩვენი კოლექტივი. მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის გადადგმული ეს ნაბიჯი მკაფიო გამოხატულებაა პარტიისა და მთავრობის მხრივ საბჭოთა ხალხისადმი სტალინური ზრუნვისა.

სიტყვას ამბობს ორთქლმავალთა ამწყობი საამქროს სტახანოველი ზეინკალი შალვა კაპანაძე. იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების ახალი შემცირება მოწმობს ჩვენი დიადი სამშობლოს ძალასა და უძლეველობას. პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად შ. კაპანაძემ იკისრა ყოველდღიური დავალება გაანაღდოს სულ მცირე 200 პროცენტით.

შემდეგ სიტყვით გამოსულმა სატვირთო ვაგონების საამქროს ზეინკალმა აკაკი ანტონოვმა იკისრა გეგმის 240 პროცენტით შესრულებასთან ერთად უზრუნველყოს სამუშაოს მაღალი ხარისხი. მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე მექვაბე ა. კერვალიშვილმა, ინჟინერმა მ. კბილაძემ, ზეინკალმა ნ. ზადონსკიმ. მიტინგის მონაწილეებმა გადაწყვიტეს გადაჭარბებით შეასრულონ მოძრავი შემადგენლობის შეკეთების გეგმა, შეამცირონ ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტში დგომის დრო, გააუმჯობესონ სამუშაოს ხარისხი.

### მშრომელთა სიხარული

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში და ახალმშენებლობებზე დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ.

საავტომობილო ქარხნის საამქროებში სამასამდე აგიტატორმა გააცნო მუშებს დადგენილების შინაარსი, განუმარტა მისი უდიდესი მნიშვნელობა, პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის.

აგიტატორების მ. მამფორიას, ჯ. შავგულიძის და სხვების საუბრებს ასობით მეავტომობილე დაესწრო. სტახანოველებმა მხურვალე სიტყვებით გამოხატეს თავიანთი უდიდესი კმაყოფილება ფასების ახალი, სათვალავით მეექვსე შემცირების გამო.

შასის საამქროს სტახანოველმა ხარატმა თ. ჯიქიძემ განაცხადა:

— თუ ომის ამერიკელ-ინგლისელი გამჩაღებლები მაქსიმალური მოგებით არიან გატაცებულნი და სრულიად არ ახსოვთ მშრომელთა საჭიროებანი, ჩვენს დიად ქვეყანაში სულ უფრო და უფრო უმჯობესდება მშრომელთა ეკონომიკური პირობები. ფასების ახალი შემცირება მეტ სტიმულს მაძლევს მუშაობაში. პირობას ვდებ საწარმოო დავალება სისტემატურად 300 პროცენტით შევასრულო და მკვეთრად ავამაღლო ხარისხი.

ავტომატების საამქროს სტახანოველმა ე. ბენიძემ რადიოთი მოისმინა მთავრობის დადგენილება და 1 აპრილს დილით ადრე მივიდა ქარხანაში. მან განსაკუთრებული ენთუზიაზმით იმუშავა ამ დღეს და დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

მანქანათმშენებელი ქარხნის მჭედელი სერგო გულენიძე თავის სამუშაო პოსტზე იდგა, როცა გაიგო ფასების ახალი შემცირების ამბავი.

— პარტია და მთავრობა გამუდმებით ზრუნავენ საბჭოთა ადამიანზე, ჩვენ ამ უდიდეს ყურადღებას გაძლიერებული შრომით ვუპასუხებთ, — თქვა მან. ამ დღეს სტახანოველმა მჭედელმა გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული დეტალი გამოჭედა და დავალება 260 პროცენტით შეასრულა.

მექანიკური ამწყობი საამქროს იმ უბანზე, სადაც კომუნიზმის დიადი მშენებლობებისათვის განკუთვნილ წყალსატუმბავების მექანიკური დამუშავება წარმოებს, აგიტატორ ბ. ჭეიშვილის საუბარს ოცზე მეტი მუშა დაესწრო. ცნობამ ფასების ახალი შემცირების შესახებ მთელი უბნის კოლექტივი აღაფრთოვანა. მათ გადაწყვიტეს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით განამტკიცონ I კვარტალში მოპოვებული წარმატება, ვადამდე ხუთი დღით ადრე შეასრულონ აპრილის გეგმა.

აბრეშუმკომბინატის პირველ საქსოვ საამქროს მე-9 ბრიგადაში აგიტატორ ლ. ბაკურაძის საუბრის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ქსელსტატმა გ. კუტივაძემ.

— ჩვენმა ბრიგადამ, — თქვა მან, — ყველაზე უკეთესი მაჩვენებლებით დაასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალი, დამატებით გამოუშვა 4.000 მეტრი ქსოვილი. ფასების ახალი შემცირების შესახებ დიდმნიშვნელოვანი დადგენილების პასუხად ბრიგადის სახელით ვალდებულებას ვკისრულობ აპრილის გეგმას 10 პროცენტით გადავაჭარბოთ და მხოლოდ პირველი ხარისხის ქსოვილი დავამზადოთ.

### პირველ დღეს თბილისის მაღაზიებში

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სავაჭრო ორგანიზაციები მომზადებული შეხვდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებას ფასების ახალი შემცირების შესახებ. დროულად დაამთავრეს სასურსათო და სამრეწველო საქონლის ინვენტარიზაცია და გადაფასება. პირველ აპრილს ყველგან ნორმალურად დაიწყო ვაჭრობა დადგენილი ახალი ფასებით.

წინადღეებთან შედარებით დიდი რაოდენობით იყიდებოდა სასურსათო და სამრეწველო საქონელი. მაღაზიები უზრუნველყოფილია საქონლის ფართო ასორტიმენტით.

„გასტრონომის“ № 1 მაღაზიაში (კიროვის ქუჩა № 2) გუშინ დიდი რაოდენობით იყიდებოდა ძეხვეული, ხორცი, საკონდიტრო ნაწარმი, კომპოტები და სხვ. აღსანიშნავია, რომ ქლიავის კომპოტის ფასს დააკლდა 1 მანეთი და 80 კაპიკი; ცხვრის ხორცი წინანდელთან შედარებით გაიაფებულია 2 მანეთითა და 50 კაპიკით. ღორის ძეხვის ფასს დააკლდა 7 მანეთი და 10 კაპიკი, ხარკოვურ ძეხვის ფასს — 5 მანეთი. ეს მაღაზია წინა დღეებში საშუალოდ ვაჭრობდა 50 ათას მანეთს, პირველ აპრილს კი ივაჭრა 60 ათას მანეთზე მეტი.

ფასების დაკლების პირველ დღეს შესამჩნევად გაიზარდა ვაჭრობა ტანსაცმლის № 1 მაღაზიაში (პუშკინის ქუჩა № 5). მაღაზიამ გუშინ დაახლოებით 20 ათასი მანეთით მეტი ივაჭრა, ვიდრე წინა დღეებში. მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 1 მაღაზიაში (რუსთაველის პროსპექტი № 1) დიდი რაოდენობით გაიყიდა ძეხვეული, თევზეული, რძის ნაწარმი, ხმელი ხილი, ლიმონი, ქათმები და სხვ. ამ მაღაზიამ პირველ აპრილს ივაჭრა 60 ათას მანეთზე მეტი, ფასების დაკლებამდე კი დღიური ნავაჭრი 40-45 ათას მანეთს არ აღემატებოდა.

სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ახალი შემცირების შედეგად პირველ აპრილს შესამჩნევად დაიკლო ფასებმა დედაქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში.

# პარტიული ცხოვრება

## საოლქო კომიტეტების პლენუმებზე

### აფხაზეთი

შედგა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა მოისმინა პარტიის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის ამხ. პ. გიგინეიშვილის მოხსენება მეაბრეშუმეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელმა და კამათში მონაწილე ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და ცალკეულ მეაბრეშუმეებს პარკის უხვი მოსავალი მოჰყავთ. მიუხედავად ამისა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. გასულ წელს სუხუმის რაიონის გარდა აფხაზეთის არც ერთ რაიონს არ შეუსრულებია აბრეშუმის პარკის ჩაბარების სახელმწიფო დავალება. განსაკუთრებით ცუდად იმუშავეს გულრიფშის, გალისა და ოჩამჩირის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა. ამ რაიონების მეტ წილ კოლმეურნეობებში ვერ შეასრულეს პარკის მოსავლის მიღების დაწესებული გეგმები.

პლენუმზე აღინიშნა, რომ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები აბრეშუმის ჭიის საგაზაფხულო გამოკვების დაწყებისათვის. ამ სამუშაოთა ჩამორჩენისათვის გაკრიტიკებულ იქნენ აფხაზეთის ასსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს და საქართველოს აბრეშუმის ტრესტის აფხაზეთის კანტორის მუშაკები, რომლებიც საკმაო ყურადღებით არ ეკიდებიან მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეს.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო ღონისძიებანი. (საკ. კორ.).

### სამხრეთ ოსეთი

უკანასკნელ ხანებში პარტიის ლენინგორის, სტალინირის, ზნაურის რაიონულმა კომიტეტებმა, ხოლო შემდეგ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა თავიანთ პლენუმებზე განიხილეს მეაბრეშუმეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი.

აღინიშნა სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ოლქის მეაბრეშუმეობის ყველა კოლმეურნეობაში. საერთო ჩამორჩენაზე მეტყველებენ შემდეგი ციფრები: ოლქმა სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის ჩაბარების 1951 წლის გეგმა 23,5 პროცენტით შეასრულა, 1952 წლისა კი — მხოლოდ 11 პროცენტით.

მეაბრეშუმეობის ასეთი მეტად დაბალი დონე გამოწვეულია ამ საქმისადმი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების გულგრილი დამოკიდებულებით. საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები თავის მხრივ წლების მანძილზე არავითარ ღონისძიებას არ ახორციელებდნენ ჩამორჩენის დასაძლევად.

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველო, რაისაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის განყოფილებები, კოლმეურნეობათა გამგეობები მეაბრეშუმეობას ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. ზნაურის რაიონის სოფელ ოქონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე აშენებდნენ თუთის ხის პლანტაციას. ახლად გაშენებული პლანტაცია ბედის ანაბარად მიატოვეს. ამიტომ იყო, რომ თუთის ნერგების მხოლოდ 15,5 პროცენტმა გაიხარა. სოფელ ზნაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში თუთის სანერგეს არ მოუარეს და იგი პირუტყვმა გაანადგურა.

გასულ წელს ლენინგორის რაიონმა თუთის ხის პლანტაციის გაშენების გეგმა მხოლოდ 30 პროცენტით შეასრულა. საკვები ბაზის მნიშვნელობის შეუფასებლობის შედეგად კოლმეურნეობებმა ვერ შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა.

მზრუნველობას მოკლებულია ისეთი მნიშვნელოვანი უბანი, როგორიც არის მეაბრეშუმეობის საქმის მცოდნე კადრების მომზადება. რაიონში არა ჰყავთ კვალიფიციური მყნობელები. ამან გამოიწვია ის, რომ 1952 წელს თუთის ნამყენების მხოლოდ 9,4 პროცენტმა გაიხარა. აბრეშუმის ჭიის გამოკვება მოუწესრიგებელია. ამ სერიოზული საქმის უნარიანად მოწყობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ოლქის პარტიულმა ორგანიზაციამ საქართველოს კ. პ. ცენტრალურ კომიტეტში ჩატარებული თათბირის გადაწყვეტილების საფუძველზე დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მეაბრეშუმეობის აღმავლობისათვის. ახლა საჭიროა ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის მუშაობის სანიმუშოდ მოწყობა. (საკ. კორ.).

## გავაძლიეროთ ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ექვსასამდე კომუნისტს აერთიანებს. მათი დიდი უმრავლესობა ახალგაზრდა კომუნისტებია. პარტიული კომიტეტი და საამქროთა პარტორგანიზაციები მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ პარტიის ახალგაზრდა წევრები აღზარდონ კომუნისტური სულისკვეთებით, გამოაწრთონ ორგანიზაციულად და აამაღლონ მათი აქტივობა მთელ პარტიულ მუშაობაში.

პარტიული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა კომუნისტებზე პარტიულ დავალებათა განაწილებას და ამ დავალებათა შესრულებისადმი კონტროლს, როგორც ორგანიზაციულ მუშაობაში მათი დაოსტატების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას. ახალგაზრდა კომუნისტებს ისეთი დავალებები ეძლევათ, რომლებიც ხელს უწყობს მათს იდეურ აღზრდას და პრაქტიკულ მუშაობაში გამოწრთობას.

პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში ნაკლები გამოცდილება ჰქონდა, მაგალითად, ახალგაზრდა კომუნისტს ქეთევან ბერიძიშვილს, როცა მას საამქროს კედლის გაზეთის რედაქტორობა მიანდეს. პარტორგანიზაცია სისტემატურად ეხმარებოდა მას. ამხ. ბერიძიშვილმაც პასუხისმგებლობით მოჰკიდა საქმეს ხელი. ფართოდ შემოიკრიბა კედლის გაზეთის კორესპონდენტები, მუშაობაში ჩააბა აქტივი და მიაღწია იმას, რომ საამქროს კედლის გაზეთი მუშათა საყვარელი ორგანო გახდა.

პარტიის რიგებში შესვლის დღიდან სტახანოველ ამწყობ მ. მამფორიას პარტორგანიზაციამ აგიტატორობა დააკისრა. მას კარგად ჰქონდა შეგნებული ამ საპატიო მოვალეობის მნიშვნელობა და ამიტომ იყო, რომ ყოველი საუბრისათვის წინასწარ ბეჯითად ემზადებოდა. მიუხედავად ამისა, მისი სააგიტაციო საუბრები პირველ ხანებში სრულყოფილი ვერ იყო. მას მხედველობიდან რჩებოდა ზოგიერთი აქტუალური თემა, საუბარს სუსტად უკავშირებდა ადგილობრივი ცხოვრებიდან აღებულ ფაქტებს და სხვ. საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი რამდენჯერმე დაესწრო მ. მამფორიას საუბარს, კონკრეტულად მიუთითა ნაკლზე და დაეხმარა მის გამოსწორებაში. ახლა მ. მამფორია მოწინავე აგიტატორია. ამ დღეებში მის მიერ მოწყობილმა საუბარმა მშობლიური ქალაქის შესახებ მსმენელთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ასევე კარგად ასრულებენ პარტიულ დავალებებს ახალგაზრდა კომუნისტები: ვ. კრავჩენკო, ს. ჯიქია, ს. ლელაძე და სხვები. ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდისათვის პარტიული კომიტეტის ზრუნვას ცხადყოფს ის ფაქტი, რომ იგი ხშირად აწყობს მათთან ლექცია-საუბრებს პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე. ამ თემაზე მარტო იანვარ-თებერვალში ოცდაათამდე ლექცია და საუბარი გაიმართა.

პარტიული კომიტეტი სერიოზულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმეს. სხვადასხვა ტიპის 30 წრესა და პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელ სემინარებში, აგრეთვე წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობით ბევრი ახალგაზრდა კომუნისტი იმაღლებს თავის იდეურ დონეს. ენერგიულად მეცადინეობენ თავიანთი პოლიტიკური ცოდნის გასამდიდრებლად თ. გარდულაძე, გ. ქაჯაია, ნ. გუძუაძე და სხვები. ინჟინერ-კონსტრუქტორი ნ. გუძუაძე პარტიულმა კომიტეტმა პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრის პროპაგანდისტად დაამტკიცა. ახალგაზრდა კომუნისტი კარგად ასრულებს ამ პასუხსაგებ დავალებას.

მშობლიურ კომუნისტურ პარტიაში შესვლის შემდეგ კიდევ უფრო მაღალნაყოფიერად მუშაობენ ახალგაზრდა სტახანოველები ა. კაშია, კ. თოდრია, რ. დოლიძე და სხვები, რომლებიც 300-350 პროცენტით ასრულებენ საწარმოო ნორმებს. მრავალი ახალგაზრდა კომუნისტი წარმოების ნიჭიერი ნოვატორიც არის: შასის საამქროს უბნის უფროსმა ა. ჩუბინიძემ, რომელიც 7 რაციონალიზატორული წინადადების ავტორია, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კარდანის ერთ-ერთი ნაწილის დამუშავების ტექნოლოგია და 90 ათასი მანეთის ეკონომია გასწია. კონსტრუქტორმა გ. ხიჯაკაძემ სიჩქარის კოლოფის კბილანის დასამუშავებლად გამოიყენა ხმარებიდან გამოსული იარაღი. ამით 13.627 მანეთი დაზოგა.

ახალგაზრდა კომუნისტებთან სისტემატური, ენერგიული მუშაობის შედეგად მრავალი მათგანი დაწინაურებულ იქნა ხელმძღვანელ სამუშაოზე. მაგალითად, ტექნიკოსი ო. ბოჭოიძე დაწინაურებულია ქარხნის დირექტორის მოადგილედ, ვ. ჯორბენაძე — ავტომატების საამქროს უფროსად.

მაგრამ ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საქმეში ნაკლოვანებანიც აქვს. მართალია, იგი დროდადრო ამოწმებს ახალგაზრდა კომუნისტებისათვის მიცემულ დავალებათა შესრულების მიმდინარეობას, მაგრამ მხედველობიდან რჩება ზოგიერთი ახალგაზრდა კომუნისტი, რომელიც უპასუხისმგებლოდ ეკიდება მისთვის დაკისრებულ საქმეს. მაგალითად, ახალგაზრდა კომუნისტი პროპაგანდისტი ვ. რევაზაშვილი სისტემატურად აცდენს მეცადინეობას. ამასთან მის მიერ ჩატარებული ზოგიერთი მეცადინეობა მაღალიდეური არ არის. პარტიული დავალებების შესრულებისადმი დაუდევრობას იჩენენ აგრეთვე ახალგაზრდა კომუნისტები მ. კოპალეიშვილი, რ. ლომაძე, მ. იაკობაშვილი.

ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა სწრაფად უნდა აღმოფხვრას ეს ნაკლოვანებანი, თითეულ ახალგაზრდა კომუნისტს დაეხმაროს იდეურ-პოლიტიკურ გამოწრთობაში, ყველა კომუნისტი დარაზმოს პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

**გ. მეფისაშვილი.**



ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე განსაკუთრებული წარმატებით მუშაობს ბეტონის ქარხნის მომსახურე ბრიგადა, რომელსაც ვასილ კობერიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადა ყოველდღიურ დავალებას 150-160 პროცენტით ანაღდებს.

**სურათზე:** ბრიგადირი ვ. კობერიძე ბეტონის გაცემის დროს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

## ჭიათურელ და ნიკოპოლელ რკინიგზელთა შეჯიბრება

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). ორი ათეული წელია გრძელდება ქართველ და უკრაინელ მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრება. ჭიათურელი და ნიკოპოლელი მაღაროელები თავდადებულად იბრძვიან, რათა სამშობლოს მისცენ მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცი. მეტი მარგანეცისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო მტკიცდება ორი მოძმე ხალხის მაღაროელთა მეგობრობა.

მაღაროელთა მაგალითისამებრ სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა ნიკოპოლელ და ჭიათურელ რკინიგზელებს შორისაც.

ამ დღეებში ჭიათურაში მიიღეს წერილი უკრაინიდან. ქალაქ მარგანეცის რკინიგზის სადგურის კოლექტივის დავალებით სადგურ მარგანეცის უფროსი ამხ. დროკი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ზონდარენკო და ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. კოროტიანსკი წერენ:

„ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, პროგრესულმა კაცობრიობამ ახლახან უდიდესი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადეს. ჩვენგან წავიდა ჩვენი დიდი ბელადი და მეგობარი მშობლიური სტალინი, ადამიანი, რომელმაც გამოჭედა ხალხთა ფოლადისებური მეგობრობა, რომელმაც მოგვაპოვებინა მსოფლიოისტორიული გამარჯვებანი.

ლენინ — სტალინის დიადი საქმე სტალინური ცენტრალური კომიტეტის ნაცად ხელშია. ლენინ — სტალინის პარტიის უძლეველი დროშა ხელთ უპყრიათ დიდი ლენინის ნიჭიერ მოწაფეებს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლებს. საბჭოთა ხალხი თავისი ძალების სრული რწმენით მიდის ახალი გამარჯვებებისაკენ“.

„ჩვენ გადავწყვიტეთ, — წერენ უკრაინელი ამხანაგები ჭიათურელ თანამოძმეებს, — მაღაროელებისამებრ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, კიდევ უფრო განვამტკიცოთ მეგობრობა, თავდადებული შრომით შევუწყოთ ხელი ჩვენი სამშობლოს შემდგომ ძლიერებას“.

ჭიათურელმა რკინიგზელებმა გულდასმით განიხილეს თანამოძმეთა წერილი და ვალდებულებანი. მათ მხურვალედ დაუჭირეს მხარი ნიკოპოლელი რკინიგზელების პატრიოტულ წამოწყებას და ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჭიათურელმა რკინიგზელებმა ნიკოპოლელ რკინიგზელებს მეგობრული წერილი და სოციალისტური ვალდებულებანი გაუგზავნეს. ჭიათურელები ცდილობენ იმუშაონ უწუნოდ და უავარიოდ. წლიური გეგმა შეასრულონ მშობლიური სტალინის დაბადების დღის — 21 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გაზიდონ 70.000 ტონა მარგანეცი.

## წერილი რედაქციაში

### გაბედულად დავნერგოთ მოსკოველ მშენებელთა გამოცდილება

ამ წერილის მიზანია საქართველოს, ხოლო პირველ რიგში თბილისელი მშენებლების ყურადღება გავამახვილოთ მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე.

მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დღის წესრიგში ახლა პირველ საკითხად დგას დიდპანელიანი სახლთმშენებლობის განხორციელების ამოცანა. მოსკოვში, ლენინგრადში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში ინდუსტრიული წესით მზადდება საცხოვრებელი სახლებისათვის სართულთაშუა გადასახურავი და საკედლე დიდი პანელები და ბლოკები საძირკვლებისათვის.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში დღემდე სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებენ საცხოვრებელი სახლის მნიშვნელოვანი ელემენტის — ტიხრის ინდუსტრიული წესით დამუშავებას. ტიხრის კეთება ჯერ კიდევ არ არის ინდუსტრიალიზებული, დიდი შრომატევადობის სამუშაოდ რჩება და შესამჩნევად ანელებს მშენებლობის ტემპს.

მოსკოველი მოწინავე მშენებლები უკვე კარგა ხანია სწავლობენ დიდპანელიანი ტიხრების შემნის შესაძლებლობას.

სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა დიდპანელიანი სახლთმშენებლობის მუდმივმოქმედმა კომისიამ მიმდინარე წელს სპეციალური სხდომა მიუძღვნა დიდპანელიანი ტიხრების არსებული კონსტრუქციების შეფასებას და მზადების ტექნოლოგიას. განიხილეს ახალი დიდპანელიანი ტიხრების სამი ტიპი.

პირველი ტიპია სხმული პანელი, დამუშავებული გ. ფომინის და პ. დობრჟანსკის მიერ. ამ ტიპის ტიხარი გამოიყენება სართათშორისო და საბინათშორისო დანიშნულებისათვის, მზადდება სამშენებლო მოედნის პირობებში და სრულებით არ საჭიროებს მძლავრ საწარმოო ბაზას. გასულ წელს მოსკოვში „ცენტროსტანკოსტროის“ ასეთი ტიხრებით ააგო ორი ხუთსართულიანი სახლი ბუტირსკი ხუტორის რაიონში. ოთახებისა და ბინების სხმული თაბაშირბეტონის ტიხრების დამზადების ტექნოლოგიისა და სანიტარული კვანძებისა და სამზარეულოებისათვის სხმული წიდაბეტონის ტიხრების დამუშავებით ტრესტმა დიდ წარმატებას მიაღწია. ყოველ ცვლაში სტენდზე მზადდებოდა 8-10 ტიხარი, თვითეული 18 კვადრატულ მეტრამდე ფართობით. ამასთან კვადრატული მეტრის ღირებულება 17 მანეთს არ აღემატება. შემცირებულია ნაწარმის ტენიანობა და გამოყენებულია მექანიკური ვიბრირების მეთოდი, რაც იძლევა უფრო ხისტი ხსნარით მუშაობის შესაძლებლობას.

„ცენტროსტანკოსტროის“ ტრესტში დაამუშავეს აგრეთვე პანელების ტრანსპორტირების ორიგინალური ხერხი — უმნიშვნელო მოწყობილობათა დახმარებით პანელები გადააქვთ დაკიდულ მდგომარეობაში ჩვეულებრივი ავტომანქანებით. პანელები დაცულია გადატანის დროს მოსალოდნელი დეფორმირებისაგან. ამ ახალი კონსტრუქციების გამოყენებამ ტრესტის მშენებლებს ტიხრების მოწყობის შრომატევადობა 12-ჯერ შეუმცირა.

მეორე ტიპის ტიხრები დამზადებულია ხისტი თაბაშირბეტონისაგან მსუბუქ მინერალურ შემავსებლებზე. ასეთი ტიხრები დამუშავებულია არქიტექტურის აკადემიის სამშენებლო ტექნიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში პროფესორ ვოლჟენსკის მიერ. თაბაშირის გამოყენებამ ნარევში მსუბუქ ინერტულ მასალებთან უზრუნველყოფილია ჯდენის მოვლენების, პლასტიკური დეფორმაციების ლიკვიდაცია და თაბაშირის ეკონომია. თაბაშირის ხარჯი, როცა საჭიროა 10 სანტიმეტრიანი სისქის ტიხარი, დაყვანილია 35-40 კილოგრამამდე ერთ კვადრატულ მეტრზე. პრაქტიკული მუშაობა ამ ტიპის ტიხრების წარმოებაში დასანერგავად ჩატარდა „ოსობსტროის“ ობიექტებზე. ტიხრების დაწნეხვა ხდებოდა თარაზულ სტენდზე და ვერტიკალურ ვიბრო-ფორმებში. ინსტიტუტმა „ოსობსტროის“ თანამშრომლებთან ერთად (სტალინური პრემიის ლაურეატი გ. გოცირიძე და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. რაზმაძე) შექმნა ვერტიკალური ფორმის კონსტრუქცია, რომლიდანაც ვიბროწნეხვის შემწეობით ერთდროულად მიიღება ორი პანელი შემდგომი დამუშავებისათვის (შეღებვა, მოლამაზება და სხვა) სრულიად მზა ზედაპირებით.

ტიხრის ეს პანელებიც დაუბრკოლებლად მზადდება სამშენებლო მოედნის პირობებში და არ საჭიროებს რთულ დანადგარსა და მექანიზმს.

მესამე ტიპის ტიხრები „მოსგრაჟდანჟილსტროის“ ტრესტში დაამუშავეს. ტიხრების ეს უკანასკნელი კონსტრუქცია ყველაზე მეტად შეეფერება დიდპანელიანი ტიხრების ინდუსტრიული წესით დამზადების მოთხოვნებს. შექმნილია როგორც სამშენებლო მოედნის, ისე საქარხნო პირობებისთვის ტიხრების დამზადების ახალი ეფექტიანი ხერხი.

ამ ტიპის ტიხრებს აქვს ხის ბადისებრი ჩონჩხი (კარკასი) და მზადდება გლინვის წესით სპეციალურ სადგამზე, რომლის წარმადობა ცვლაში 700 კვადრატულ მეტრამდე აღწევს. ერთ ასეთ სადგამს შეუძლია უზრუნველყოს ისეთი მშენებლობის მოთხოვნილება ტიხრებზე, რომლის წლიური პროგრამა 50.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით განისაზღვრება. ახალი ტიხრების კონვეიერული წარმოების ყველა ოპერაციები კომპლექსურად მექანიზებული და ნაწილობრივ ავტომატიზებულია. ტიხრების დამზადება არც შეფიცრულობას საჭიროებს და არც ფორმებს. გლინვა უზრუნველყოფს ნაწარმის მაღალ მექანიკურ სიმტკიცეს, ხოლო სადგამზე რეზინის ლენტი — ზედაპირის მობირკეთების მაღალ ხარისხს. დამტკიცებულია, რომ პანელების სიმტკიცისა და სიხისტის ამაღლება, რასაც ვაღწევთ ხის ნარჩენებისაგან დამზადებული კარკასის საშუალებით, თითქმის არ ზრდის ნაწარმის ღირებულებას, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ტრანსპორტირებას და დაწყობისა და მონტაჟის პირობებს. ასეთი ტიხრები აწყობის ადგილზე მისაზიდად არ საჭიროებს არც კონტეინერებს და არც სპეციალურ ჩასაჭიდ მოწყობილობებს.

ცდებით დადასტურებულია, რომ ხის ნარჩენებით დამზადებული კარკასი უფრო იაფი ჯდება მშენებლობის პირობებში, ვიდრე შესაფერის მოცულობათა შევსება თაბაშირბეტონით.

განიხილა რა სამივე ამ ახალი ტიპის ტიხრების კონსტრუქცია და ტექნოლოგია, სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის კომისიამ ისინი საკვებით მიზანშეწონილად ცნო ტექნიკური და ეკონომიური თვალსაზრისით. როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, დიდპანელიანი ტიხრები მთლიანად აკმაყოფილებს მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ასეთი ტიხრების წარმოება არ წარმოადგენს მაინცდამაინც რთულ საქმეს, არ საჭიროებს სპეციალურ საწარმოო ბაზას და სავსებით ხელმისაწვდომია მშენებლობის ჩვენს პირობებში. საჭიროა მხოლოდ მოსკოველთა გამოცდილების გულდასმით შესწავლა და დანერგვა ჩვენი რესპუბლიკის მშენებლობებზე.

საჭიროა სასწრაფოდ იქნას შესწავლილი თაბაშირის ადგილობრივი მასალით — გაჯით შეცვლის საკითხი, რის შესაძლებლობაშიც გვარწმუნებს რუსთავის მშენებელთა გამოცდილება. რუსთავში კარგა ხანია გამოიყენებენ გაჯის ბლოკებს. ეს ამოცანა კომპლექსურად უნდა გადაწყვიტონ თბილისის საპროექტო და საკვლევო ინსტიტუტებმა. ამით კიდევ უფრო გაიაფდება დიდპანელიანი ტიხრების ახალი კონსტრუქციები.

თბილისის და საქართველოს მშენებელი ორგანიზაციები მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის გაძლიერების საქმეში არ უნდა ელოდონ ჩვენში ახალი მძლავრი საწარმოო ბაზების შექმნას. უდავოა, რომ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება ამ დარგში ჩვენი მშენებლების განკარგულებაში არსებული შესაძლებლობებით.

**ი. შენგელია,**
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

რედაქციაში შემოვიდა მამხილებელი წერილი, რომლის ავტორი გვატყობინებდა, რომ სამტრედიის რაიონის სოფელ გომის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. მეგენეიშვილმა კოლმეურნეობის ხელმძღვანელ აპარატში მოაწყო თავისი ნათესავები, მფარველობს მათ.

როგორც საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიუროს დადგენილებით გ. მეგენეიშვილს კოლმეურნეობის სუსტი ხელმძღვანელობისა და ყალბი ცნობების მიწოდებისათვის დაედო მკაცრი პარტიული სასჯელი.

კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით გ. მეგენეიშვილი მოიხსნა თანამდებობიდან.

# ხალხის გულში დაბადებული სტრიქონები

იმ დღეს, როცა საბჭოთა ხალხმა შეიტყო თავისი საყვარელი მამისა და მასწავლებლის დიდი სტალინის გარდაცვალების თავზარდამცემი ამბავი, „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო ბარათი, რომელსაც შავი არშია ჰქონდა შემოვლებული. მღელვარებით ნაწერ ბარათში, რომელიც ეკუთვნოდა თბილისელ დიასახლისს თამარ ჯაფარიძეს, ლექსად იყო გამოთქმული ხალხის, სამშობლოს უსაზღვრო მწუხარება.

მას შემდეგ განუწყვეტლად მოედინება ლექსების ნაკადი, რომელიც იმ მძიმე დღეებში წარმოიშვა ხალხის წიაღში. ისინი იწერებოდნენ ათრთოლებული ხელებით, ცრემლიანი თვალებით, გულის კარნახით! ზოგიერთი მათგანი არც კია მეორედ გადაწერილი. იმ გლოვის დღეებში გადათეთრების თავი ვისა ჰქონდა!

წერდნენ მეფოლადეები, გუთნისდედები, მასწავლებლები, ინჟინრები, ექიმები, დიასახლისები, მოსწავლეები...

წერდნენ ბელადის გარდაცვალებით გულმოკლული, დადარდიანებული ადამიანები.

ყაზბეგის მთაში დაიბადა ეს სამგლოვიარო სიმღერა:

რა დიდი გლოვის ზარია,
ცა შეიმოსა თალხითა,
ფანდურს სიმები დაუწყდა,
თეოზე მწყემსი ატირდა,
მყინვარს ეხვევა ღრუბლები,
ფრთები დაკეცეს არწივთა,
მზეს დაეხუჭა თვალები,
დარდმა გულები დაფლითა...

ამ ლექსის ავტორს გიორგი ვიგაურს ზუგდიდიდან ეხმაურება ისაკი ქორთუა:

ცამ და ხმელეთმა იგრძნეს ჭრილობა,
ზღვებმაც ნისლები შემოიფინეს.
ვინ დამიძრახოს ქართველს ცრემლები,
როცა ჩინელიც შენზე ქვითინებს.

გლოვის დილა! — ასე ეწოდება ლექსს, რომლის ავტორი ირაკლი იაკობიძე (საჩხერის რაიონი, მერჯევის რვაწლიანი სკოლა) აგვიწერს 1953 წლის 6 მარტს:

თალხი მოუსხამთ, მოუწყენიათ
მოსკოვს და თბილისს, რიგას და ტალინს...
ვწუხვართ, დღეიდან რომ ველარ მოვწერთ:
„მოსკოვი, კრემლი, ამხანაგ სტალინს!“

ჩვენი გაზეთის მკითხველი ვერა აბულაძე-ჩერქეზიშვილისა გვწერს: „არასოდეს არ მიცდია ლექსის წერა. მხოლოდ დღეს, საყოველთაო გლოვის დღეს, ვცადე ჩემი წუხილი მე თვითონ გამომეხატა. ვწერ ცრემლით...“

მართლაც ცრემლით არის დაწერილი მისი ეს გაურითმავი სტრიქონები:

რაღა ვუთხრა აწ ჩემს შვილს,
როცა მეტყვის:
„დედი, მინდა კრემლში,
იქ ძია სტალინია.
როცა ვნახავ ძია სტალინს,
აი, ასე... ასე ჩავეკვრები“...
და დამიწყებს ხვევნა-კოცნას.
დღეს რომ მხედავს რადიოსთან,
ცრემლიანს და მგლოვიარეს, —
მეკითხება გაოცებით:
რატომ ტირი დედი ასე?“.

ხალხის გულისტკივილს მძაფრად გადმოგვცემს სოფლის ექიმი თამარ ვაჩნაძეც:

„იქნებ არ დაეტირება
შენებრ გოლიათ ვაჟკაცსა,
მაგრამ რა ვუყო ამ წუხილს,
მაგრამ რა ვუყო ამ დარდსა?!
ბელადო, როცა გავიგე
ხელი შეგახო სიკვდილმა,
გულს ჩაუჭირა ბრჭყალები
შენი დაკარგვის ტკივილმა!
...ხელთუქმნელი და დიადი
ჩვენს გულში ძეგლი აიგე!
რამდენი ღამე უძილო
ჩვენი გულისთვის გაიღე!..

ამაღელვებელია ცნობილი ხალხური მთქმელის სიკო ჩანგაშვილის ლექსი „გლოვა სტალინზე“:

გახმით, ხელებო, რასა სწერთ,
დაყრუვდით ჩემო ყურებო,
რათ გაიგონეთ სტალინის
სიკვდილი, თქვე ბედკრულებო.
რათ დაგვაღონე, რა გვიყავ,
მარტის ხუთის დღევ ტიალო,
რა დაგვემართა, ბელადო —
მშრომელთა გულის ტრფიალო!..
სიკვდილმა ხომ არ გიმუხთლა
ხალხთა საყვარელ მამასა?
შენ მოგერია სიკვდილი? —
ვერ დავიჯერებთ ამასა.
ადექ, ძვირფასო, ნუ სტოვებ
მილიონობით შვილებსა,
შენს მიერ გამოზრდილებსა,
შენს მიერ დაწრთობილებსა.
მშვიდობის დიდი ქვეყანა
ჩინეთიც აგვიტირდება,
ნუ დაგვანებებ თავს, სტალინ,
ხალხს შენი ხელი სჭირდება...

სტუდენტი ალექსანდრე შენგელია წერს:

...ლაღად ველარ ნავარდობენ,
დაუშვიათ ფრთები ორბებს,
რათ წახვედი, რათ დაგვტოვე,
უდროოდ რათ დაგვაობლე?
ბობოქარი ზღვა უძირო
დარდის ნისლად აგვეშალა,
გვითხარ რამე, გმირთაგმირო,
თორემ მოგვკლა კაეშანმა.
შენს აკვანთან სევდის ღრუბლად
მოხვევია თალხი ბოძებს,
ცრემლი ცვივა ღაპა-ღუპით
ყველა მშრომელს, ყველა მოძმეს.
მშობლიური ზეცა ტირის,
ჩაუცვია შავი თბილისს,
გმირი იყავ გულგაშლილი,
ადექ, სიტყვა გვითხარ თბილი!

ნოდარ შამანაძის შესანიშნავი ლექსი „მე უმამობა დღეს ვიგრძენ, ძმებო!“ გამთბარია საბჭოთა ახალგაზრდობის უსაზღვრო სიყვარულით თავისი დიდი მეგობრისა და მოამაგისადმი.

მძიმე და დაუვიწყარია ის დანაკლისი, რაც სტალინის გარდაცვალებით განიცადა ჩვენმა ქვეყანამ, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ. მაგრამ ჩვენს ხალხს მტკიცედ სწამს სტალინის საქმის უკვდავება, სტალინის საქმის გამარჯვება.

იყალთოელი მასწავლებელი არჩილ შიშმანაშვილი წერს:

სიცოცხლესავით ხალხთან იქნები,
შენი მოძღვრება შუქად ანთია,
შენი სიბრძნით და შენი სახელით
კომუნიზმისკენ გვიძღვის პარტია.

ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშის შალვა ქუსიკაშვილის ლექსში გადმოცემულია ფიცი ქართველი მეფოლადეებისა, რომლებიც სიტყვას იძლევიან უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი საბჭოთა ფოლადი მიაწოდონ სამშობლოს. ეს იქნება დიდი სტალინის ნათელი ხსოვნის პატივისცემა!

თბილისელი დიასახლისი გუგული გვენცაძე ფიცსა დებს, რომ სტალინის ეპოქის ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდის თავის შვილებს.

დედაქალაქის მეთერთმეტე აფთიაქის თანამშრომელი მაყვალა ყარყარაშვილი უდიდესი მწუხარებით ლაპარაკობს გამოთხოვების წუთებზე. მაგრამ იქვე უპასუხებს: „ნუთუ მშვიდობით? არასოდეს, არა და არა! ის ჩვენთან არის და კვლავ ჩვენთან იქნება მარად“.

საკოლმეურნეო შრომის ცნობილი ენთუზიასტი, ზემოქედელი კობა ჩოხელი ჩვენს ადამიანებს სიმტკიცისა და სიფხიზლისაკენ მოუწოდებს:

ისეთი რამე ჭვაუწყეს,
სიტყვა სათქმელად ძნელდება.
ცეცხლი მოედვას სიკვდილსა,
რა ცუდად დაეხეტება!
ატირდა მთელი ქვეყანა,
ცრემლისა დადგა ღვარია,
გულში იტირეთ, მშრომელნო,
ხელში აიღეთ ხმალია.
მტერი არ შემოგვეპაროს,
არ აგვირიოს გზანია
სტალინი მუდამ იცოცხლებს,
ნურვის ჰგონია მკვდარია!

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველის, თბილისელ სოსო ამაშუკელის ლექსი ასე იწყება:

ნუ ლაპარაკობთ: „სტალინი მოკვდა“.
სიკვდილი ვერ სძლევს ხალხთა გოლიათს, —
ქვეყნის უკუღმა შემობრუნება
არსად, არასდროს გაუგონიათ.
ჰკითხეთ გორს, მოსკოვს, კიევს,
ლენინგრადს...
ყური დაუგდეთ დარდიან გულებს,
და ყველა ერთად, ვით ერთი კაცი,
მის უკვდავებას დაადასტურებს!

სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოს მცხოვრები გრიგოლ ფარულავა საბჭოთა ადამიანის გულისთქმას გამოხატავს, როცა ამბობს:

შენს უკვდავ სახელს,
უკვდავ სახეს არ დავივიწყებთ,
მანამდე, ვიდრე არ დაშრება
ვოლგა და თერგი,
გმირული შრომით,
კომუნიზმის დაგვირგვინებით
ვფიცავე, აგიგოთ
მარადიულ დიდების ძეგლი.
შენი პარტია წაგვიძღვება
შენივე დროშით,
ის გვიკარნახებს,
იგი გვეტყვის, რაც უნდა გვთქვა,
ჩვენ დღესვე ვხედავთ
ხვალინდელი ცხოვრების სურათს,
ჩვენ ახლაც გვესმის
კომუნიზმის ყლორტების ფეთქვა.

ამავე აზრს გამოთქვამენ თავიანთ ლექსებში ეთერ ბასილაიშვილი, დალი გოძიაშვილი, ალექსანდრე ჭინჭარაული, ნუგზარ აფხაზავა, ლუბა გოგალაძე, გივი ჯახუა, გიორგი ჯღუთაშვილი, გურამ ხუჭუა, ბესიკ აბეიშვილი, ტარიელ ხავთასი და მრავალი სხვა ავტორი.

ცხარე ცრემლებით დაიტირეს თავიანთი საყვარელი მამა და მასწავლებელი საბჭოთა ადამიანებმა. მგლოვიარედ მოიდრიკა მუხლი თავისი დიდი მასწავლებლის წინაშე სახელოვანმა მარ ძეღუნმა და მისმა დიდმა ხალხმა, გულწრფელად იგლოვეს იგი სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მშრომელებმა, პლანეტის ყველა გულმართალმა ადამიანმა, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა შორის მშვიდობის საქმე!

წავიდა ჩვენგან საყვარელი ადამიანი, რომლის სახელსა და სიყვარულს საუკუნეები გადასცემენ ერთმანეთს. სტალინი წავიდა ჩვენგან, მაგრამ კომუნიზმის საჭე თავის ერთგულ მოწაფეებსა და თანამებრძოლებს ჩააბარა. მათი მეთაურობით ჩვენ მტკიცედ და უშიშრად მივდივართ წინ კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

მადლიერმა ხალხმა ბევრი პოეტური თვალმარგალიტი, სიყვარულითა და ერთგულებით შთაგონებული, მიუძღვნა თავისი ბედნიერების გენიალურ შემოქმედს — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. ხალხთა წიაღში იბადებოდა და მუდამ დაიბადება დიდების გმირული სიმღერები უსაყვარლეს ადამიანზე, მამასა და მასწავლებელზე — დიდ სტალინზე.

# საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის სავაჭრო ურთიერთობისათვის

სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და ბულგარეთის სავაჭრო დელეგაციას შორის წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად მიმდინარე წლის 31 მარტს ხელი მოაწერეს ოქმს 1953 წელს სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ.

ხელმოწერილი ოქმით გათვალისწინებულია საქონელბრუნვის მნიშვნელოვნად გადიდება 1952 წელთან შედარებით.

საბჭოთა კავშირი ბულგარეთს მიაწვდის სამრეწველო მოწყობილობას, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, შავი ლითონების ნაგლინს, ბამბას, ნავთობპროდუქტებს, ქიმიკატებსა და სხვა საქონელს.

ბულგარეთი თავის მხრივ საბჭოთა კავშირს მიაწვდის სამთამადნო მრეწველობის პროდუქციას, თამბაქოს, ხორცს, ყურძნის ღვინოს, ახალ და ხმელ ხილს, ტომატის პროდუქტებსა და სხვა სამომხმარებლო საქონელს.

ოქმს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ა. ი. მიქოიანმა, ბულგარეთის მხრივ — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ რ. დამიანოვმა.

# პოეტი და პატრიოტი

(გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების 70 წლისთავის გამო)

ცნობილი პოეტისა და მოღვაწის გრიგოლ ორბელიანის ხანგრძლივი ცხოვრება და შემოქმედება ჩინებულად ასახავს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მოწინავე თავადაზნაურული ფენების სულიერ, გონებრივ და ესთეტიკურ მისწრაფებებს.

გ. ორბელიანს ჩინებულად ესმოდა, რომ მუსლიმური და აგრესიული სახელმწიფოებით გარშემორტყმულ საქართველოს მეცხრამეტე საუკუნეში მხოლოდ რუსეთის დახმარებით შეეძლო გადაერჩინა თავი მუდმივი, დამრბევი შემოსევებისაგან. როგორც ჭეშმარიტ პატრიოტსა და ნიჭიერ პოეტს მშობლიური ქვეყანა უსაზღვროდ უყვარდა. ამ სიყვარულით იყო ამღერებული მთელი მისი არსება.

გ. ორბელიანს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა 1826-1828 წლების რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებში და ქართველი ოფიცერი ამაყად გრძნობდა თავს იმ დროს, როცა კავკასიის მხედრობის მიერ ძლეული სერასკირები თავიანთ მწვანე ბაირაღებს ხრიდნენ აბასაბადთან, ერევანთან, ხერთვისის, ახალციხისა და ყარსის მისადგომებთან.

გ. ორბელიანი, უწინარეს ყოვლისა, დაუძინებელი მტერი იყო საქართველოს და რუსეთის საერთო მტრებისა. იგი ქართული პატრიოტიზმის გამოვლინებად თვლიდა თავის ოფიცრულ სამსახურს რუსეთის არმიაში, და ფიქრობდა, მაგალითად, რომ 1853-1854 წლების ყირიმის ომში საქართველოს საზღვრების დაცვა მხოლოდ რუსეთის პოლკების მეშვეობით შეიძლებოდა. ამიტომ იყო, რომ 1854 წელს, როცა დაღისტნიდან ჯარების გაყვანისა და კავკასიის სხვა ფრონტზე მათი დაბანაკების საკითხი დადგა, გენერალი გ. ორბელიანი ამ განზრახვას წინ აღუდგა და კიდევაც გაიტანა თავისი: დაღისტანი ჯარებისაგან არ დაუცლიათ და ამან შესანიშნავი შედეგი გამოიღო. სწორედ ამ დროს მთიელთა რეაქციონურ-ნაციონალისტური მოძრაობის — მიურიდიზმის — მეთაურმა შამილმა ხმა დაარხია, ხონთქარმა საქართველო თბილისითურთ და მთელი კავკასიაც მე მიბოძაო, ისარგებლა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ატეხილი ომით და დიდი ჯარით დაიძრა ჭარბელაქნისაკენ. გ. ორბელიანი ზაქათალის ვიწროებში დაუხვდა მას, დაამარცხა და უკუაქცია. „იძულებული ვიყავი შევბრძოლებოდი, — სწერს გ. ორბელიანი მთავარმართებელ ვორონცოვს 1854 წელს. — ყურადღება არ მივაქციე არც ხევ-ხუეიანის ადგილ-მდებარეობასა და არც მტრის რაოდენობას, რომ ჯერ-ერთი, შემეყენებინა მთიელთა შემოტევა და მეორე, უფრო მეტად კი. გამემხნევებინა შეშინებული მცხოვრებნი და გამეფანტა ის თავდაპირველი შიში, რომელიც გონზოგორისა და დინდის მთებში მოდებულ შამილის ურიცხვი მხედრობის გამოჩენამ იქონია... გახურდა უცბად ბრძოლა მწვავე, ბრძოლა ფიცხელი!, როგორ დაიმედებულნი და მხნედ იბრძოდნენ ჩვენი ჯარისკაცები!“.

კავკასიის ომის ისტორიიდან კარგად არის ცნობილი გ. ორბელიანის განსაკუთრებული როლი მიურიდიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1857 წელს მან იერიშით აიღო ფანატიკოსი მთიელების უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი დაღისტანში — ძველი ბურთუნაი, რამაც შამილის დამარცხება დააჩქარა. ამ უკანასკნელის ხაზინადარი და ბიოგრაფი წერს: „ხალხი ამბობდა, რომ ეს წელიწადი ეკუთვნის თავად ორბელიანს და უაზროა მასთან ბრძოლაო... ბურთუნაიში ციხე-სიმაგრის აღების შემდეგ მთიელთა საქმე უკუღმა წარიმართა... ბურთუნაის ციხესიმაგრის შემდეგ შამილი ჰგავდა ცხვარს, რომელსაც მგელი ყელში სწვდა და რომელსაც ხსნის იმედი დაჰკარგოდა“.

დამარცხებული შამილი ამბობდა: „ორბელიანი ჩემი ყველაზე დიდი მტერია დაღისტანში... თუ ხელში ჩამივარდა იგი, უეჭველად დავღუპეთ. ალბათ, ისიც ასე მომექცევაო“.

ამრიგად, გ. ორბელიანი-გენერლის ბიოგრაფიაში სწორედ ასეთი, პატრიოტული, მომენტებია ხაზგასასმელი. იგი კარგად ხედავდა, რომ ქართველი ხალხის ფიზიკური და სულიერი გადარჩენა შეიძლებოდა მხოლოდ რუს ხალხთან ძმური მეგობრობისა და კულტურული თანაზიარობის გზით.

ორბელიანი-პოეტი აღტაცებული იყო რუსული პოეზიით, თარგმნიდა ჟუკოვსკის, პუშკინს, კრილოვს და ლერმონტოვს; მოხიბლული იყო რუსული თეატრით, კერძოდ მოჩალოვის თამაშით და ა. შ. „სადღეგრძელოს“ ავტორი ისევე ღრმად სცემდა პატივს ერეკლე II-ის ანდერძ-ნაამაგს, როგორც მისი გამოჩენილი დისწული ნ. ბარათაშვილი. პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ამ მხარეს უნდა მიექცეს ყურადღება. გ. ორბელიანს ღრმად და გულწრფელად უყვარდა პუშკინის კულტურა და არა არაკჩეევის რეჟიმი, რომლის სიმწვავე თვითონაც გამოსცადა სიჭაბუკის წლებში.

განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის გ. ორბელიანის პოეზია. გრიგოლ ორბელიანმა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაში გააცოცხლა საქართველოს მთებისა და ხეობების ზვიადი ბუნება. მან იშვიათი გულწრფელობით უმღერა სიყვარულის გრძნობას — „ტრფობის ცეცხლს“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ. ორბელიანის ჰუმანიზმი და თავისებური დაინტერესება დაბალი სოციალური ფენების ხვედრით („მუშა ბოქულაძე“) და სხვ.

მიუხედავად გ. ორბელიანის შემოქმედების საყოველთაოდ ცნობილი რომანტიკული მიმართულებისა, მის ლირიკაში მეტად თვალსაჩინოა რეალისტური ელემენტებიც. გ. ორბელიანი არ გვევლინება ერთადერთ გმირად საკუთარი პოეტური ქმნილებებისა, მის ლირიკულ შედევრებში მოქმედებენ ავტორისაგან დამოუკიდებელი სახეები ნაცნობებისა და ახლო ნათესავებისა (სალომე, ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეები, ორბელიანები და სხვ.), აგრეთვე ძირა ფენების წარმომადგენლებისა (ლოპიანები, ბოქულაძეები და სხვები).

გ. ორბელიანს უსაყვედურებდნენ, რომ მან „ბაზრის კილო“ შემოიტანა ქართულ პოეზიაშიო. ასეთი საყვედური დაუმსახურებელია. პოეტმა მხოლოდ მუხამბაზის ხელახალი კანონიზაცია მოახდინა და ისიც გარკვეული მიზნით, თანაც გაწმინდა ეს ფორმა ჩვეულებრივი შაბლონისგან. „თამარის სახის“ ავტორის ხმა, რასაკვირველია, არ შეიძლება ავურიოთ რომელიმე ლოპიანას ინტონაციაში. ამავე დროს გ. ორბელიანის მუხამბაზები ინტერესს იწვევენ თავიანთი რეალიზმით. მათს სასიმღერო სტროფებში შენახულია ხმა და ჟანრული სურათები თბილისის გარეუბანთა ადამიანებისა და აივნიანი სახლებისა. ახალი თბილისის მკვიდრს შეუძლია სიამაყის გრძნობით შეადაროს გრანდიოზული და ჩინებული არქიტექტურული შენობებით დამშვენებული ქუჩები საბჭოთა საქართველოს დედაქალაქისა იმ ძველ პანორამებს, რომლებიც ამჟამად მუზეუმებსა და გ. ორბელიანის მუხამბაზებშია შემონახული.

რომანტიკული პოეზიისათვის საერთოდ უცნობია დისტანცია ავტორსა და გმირს შორის. ორი ქართველი რომანტიკოსის გ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის სასახელოდ კი უნდა ითქვას, რომ ისინი ხშირად ახერხებენ თავიანთი გმირების რეალისტური სახეებით გამოხატვას. აგრეთვე საკმაოდ რეალისტურად გადმოგვცემს გ. ორბელიანი თავის შესანიშნავ პოემაში ქართველი მხედრობის აღტყინებასა და მზადყოფნას აგრესორებისაგან სამშობლოს დასაცავად.

ასე ემსახურებოდა გ. ორბელიანი თავისი კალმითა და ხმლით სამშობლოს.

**აკაკი გაწერელია.**

## გრიგოლ ორბელიანის უცნობი ავტოგრაფები

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდების აღწერის დროს მწერალმა ს. ცაიშვილმა მიაკვლია გ. ორბელიანის რამდენიმე უცნობ ავტოგრაფს. მათ შორის აღსანიშნავია ცნობილი ლექსის „მუშა ბოქულაძის“ ავტოგრაფი (№ 130), რომლის არსებობა დღემდე უცნობი იყო. ავტოგრაფის შესწავლით გამოირკვა, რომ იგი წარმოადგენს იმ ტექსტს, რომელიც 1877 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ № 7. ავტოგრაფი ჩასწორებულია ილია ჭავჭავაძის ხელით და დღემდე ცნობილ ამ ლექსის სხვა რედაქციებთან შედარებით განსხვავებულ ვარიანტს იძლევა.

აქვე დაცულია გ. ორბელიანის დღიურის ფრაგმენტი (№ 132), რომელშიც აღწერილია 1839 წლის აპრილში დაღისტნის ფრონტზე მომხდარი ამბები და პოეტის თავგადასავალი.

ავტოგრაფი, რომელიც ბატონყმობის გაუქმებას შეეხება, შეიცავს 11 ძირითად საკითხს. ამ საკითხების გარჩევას პოეტი მოითხოვს საჯაროდ და ავტორიტეტულ კრებაზე. აქ ჩამოთვლილი საკითხები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ, თუ როგორი იყო პოეტის შეხედულება ბატონყმობის გაუქმებაზე.

პოეტის უკანასკნელი ავტოგრაფი წარმოადგენს პ. პეტრიძის (პ. უმიკაშვილის) იმ კრიტიკული სტატიის პასუხს, რომელიც 1872 წ. დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ (№ 10-11) სათაურით „მცირე ტომთა ენებზე“ სტატიაში გაკრიტიკებულია გ. ბაგრატიონის ცნობილი ბროშურა, რომელიც ეხებოდა პატარა ერების დიდ ერებში გათქვეფის საკითხს.

აღნიშნული საარქივო მასალები, როგორც პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი მომენტების შემცველნი, გამოქვეყნდება ზუგდიდის მუზეუმის შრომების მორიგ ტომში.

## გ. ორბელიანის გარდაცვალების 70 წლისთავის აღსანიშნავად

ხუთშაბათს, 2 აპრილს საღამოს 8 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში (მაჩაბლის, 13) გაიმართება გამოჩენილი ქართველი პოეტის გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების 70 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. ლეონიძე. მოხსენებას გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ — წაიკითხავს მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ს. ჭილაია.

საღამოზე გამოვლენ ა. აბაშელი, შ. ამისულაშვილი, ი. გრიშაშვილი, ა. გაწერელია, ქ. კალაძე, გ. ქიქოძე, ხ. შანშიაშვილი, ქ. ჭიჭინაძე, ი. ნონეშვილი, ხ. ბერულავა, მ. მაჭავარიანი; თ. ჯანგულაშვილი.

# ნოვატორ მეაბრეშუმეთა გამოცდილებიდან

ლენინ — სტალინის პარტიის XIX ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახულია მეაბრეშუმეობის ახალი მძლავრი აღმავლობის პროგრამა.

ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი ზრდის შედეგად ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება ძვირფას აბრეშუმის ქსოვილებზე. სოფლის მეურნეობის მშრომელთა ღირსებისა და სახელის საქმეა დიდი რაოდენობით მისცენ სოციალისტურ მრეწველობას აბრეშუმის ნედლეული. საამისოდ ჩვენში ყველა პირობაა.

მაგრამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოში მეაბრეშუმეობა მკვეთრად ჩამორჩა. ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, მეაბრეშუმეებისა და ყველა მშრომელის წინაშე დასახულია საბრძოლო ამოცანა — უახლოეს ხანში გადააქციონ მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგიდან მოწინავე დარგად. ამ მიმართულებით ახლა ჩვენში სერიოზული მუშაობა გაჩაღდა. მეაბრეშუმეები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უფრო მჭიდროდ ირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. ისინი გაორკეცებული ენერგიით შრომობენ, რათა წარმატებით განახორციელონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის წინასწარდასახულობანი, თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში. ისინი დღითიდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ მეაბრეშუმეობის მომავალ სეზონს და სახელოვნად განახორციელონ გლოვის მძიმე დღეებში დადებული ფიცი — წელს მოიყვანონ აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავალი, მისცენ ძვირფას სოციალისტურ სამშობლოს მეტი საუკეთესო ხარისხის აბრეშუმის პარკი.

ამ ამოცანის გადაჭრის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მეაბრეშუმე ნოვატორთა გამოცდილების შესწავლასა და საკოლმეურნეო წარმოებაში ფართოდ დანერგვას.

ვბეჭდავთ წარჩინებული მეაბრეშუმეების ლ. ბარაბაძის, კ. ლომიძისა და ლ. ჭეიშვილის ნაამბობს, თუ როგორ, რა აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით, შრომის როგორი ორგანიზაციით მოჰყავთ მათ აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი.

საჭიროა ადგილებზე ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი ნოვატორ მეაბრეშუმეთა გამოცდილების განზოგადებას და საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვას.

★ ★ ★

## მეაბრეშუმეების ლ. ბარაბაძის, კ. ლომიძისა და ლ. ჭეიშვილის ნაამბობი თავიანთი მუშაობის შესახებ

**ლიდა ბარაბაძე**: ორ ათეულ წელზე მეტია, რაც წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის კოლმეურნეობაში მეაბრეშუმეობას ვეწევი. ოთხი წელია, რაც მერგოლეურად გამომყვეს. ჩემი რგოლის წევრები დიდი მონდომებით მუშაობენ. აბრეშუმის პარკის მიღების გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებთ. მაგალითად, 1952 წელს 3,2 კოლოფ თესლზე სახელმწიფოს 275,9 კილოგრამი პარკი ჩავაბარეთ, დავალება 187 პროცენტით შევასრულეთ.

მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად რგოლი ყოველთვის უზრუნველყოფს ჭიის მოკლე დროში გამოკვებას, თუთის ფოთლის დაზოგვით ხარჯვას, პარკის ხარისხის გაუმჯობესებას.



რით ვაღწევთ წარმატებას, როგორ ვადიდებთ აბრეშუმის პარკის გამოსავლიანობას?

რგოლის ყველა წევრი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენივე რაიონის სოფელ ივანდიდის კოლმეურნეობის ნ. მაჭარაძის რგოლთან. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჭიისათვის მშრალი და დათბუნებული ბინების გამოყოფას, მათ დროულად მომზადებას, ნორმალური ტემპერატურის, ტენისა და სისუფთავის დაცვას, ჭიის გამოკვებას ყოველთვის ახალი ფოთლით და ხშირ-ხშირად. ჩვენთან ჭიის დაავადება ან სხვა მიზეზით დანაკარგი თითქმის არ არის, პარკს ყველა ჭია აკეთებს.

პირადად მე საჭიე ბინის ირგვლივ შემორგული მაქვს მაღალტანიანი ხეები, რაც ხელს უწყობს ნორმალური სითბოს და ტენის დაცვას. საკარმიდამო ნაკვეთზე იმდენი ჯიშიანი თუთა მაქვს გაშენებული, რომ ერთი კოლოფი თესლიდან მიღებული ჭიისათვის სავსებით საკმარისია. ამავე დროს შემუშავებული მაქვს თუთის სხვლის ისეთი წესი, რაც უზრუნველყოფს მცენარის ნორმალურად განვითარებას. გასხვლის დროს ხეზე ტოტებს ძირში როდი ვჭრი, არამედ ვტოვებ შტოებისა და კვირტების საკმაო რაოდენობას ყლორტების შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის.

ჩვენ კარგად ვითვალისწინებთ, რომ პარკის მოსავლიანობა ყოველწლიურად უნდა იზრდებოდეს. ამასთან დაკავშირებით თუ თუთის ხეს ნორმალური ზრდა-განვითარების საშუალება არ მივეცით, ცხადია, საკმარისი საკვები ბაზა არ გვექნება და პარკის მოსავლიანობის გადიდებაზეც ლაპარაკი ზედმეტია. თუთის ხის ნარგავებს შემოდგომიდანვე ვუბარავთ მიწას ირგვლივ ძირებთან და ვანოყიერებთ როგორც ნაკელით, ისე ნაცრით და სხვა ადგილობრივი სასუქებით. ახლა თუთისათვის მინერალური სასუქის გამოყენებასაც ვითვალისწინებთ, რაც უეჭველად შეუწყობს ხელს ფოთლის მოსავლის გადიდებას.

ჭიისათვის ჭერზე 4-5 რიგად დაკიდებულ დაწნულ ლასტებს ვიყენებ, რასაც წინასწარ ვამზადებ. წელს რგოლში დამატებით მავთულისა და ბაწრისაგან გაკეთებულ ჩარჩოებსაც გამოვიყენებთ. ჭიის მოყვანისა და გამოკვების დაწყებამდე ყველა ლასტს, ჩარჩოს, ხელსაწყოს და დამხმარე ინვენტარს ეზოში ცხელი ნაცარტუტით ვრეცხავ და რამდენიმე დღის განმავლობაში მზეზე ვაშრობ. კვების დაწყებამდე ასევე საფუძვლიანად ვრეცხავ საპნით და ცხელი წყლით საჭიე ბინის კარ-ფანჯრებს, ჭერს, იატაკს, შემდეგ კი ფორმალინით და გოგირდით ვუკეთებ დეზინფექციას. ამ დროს 2-3 დღის განმავლობაში კარ-ფანჯრები მჭიდროდ დაკეტილი მაქვს, შემდეგ კი ვაღებ და ჰაერს ვასუფთავებ.

ჭიის მოყვანის წინადღიდანვე ბინაში 24-25 გრადუს ტემპერატურას და 60-75 პროცენტ ტენიანობას ვამყარებ. ნორმალური სითბოსა და ტენიანობის დაცვას კვების მთელი პერიოდის მანძილზე უზრუნველვყოფ. ასევე დიდ ყურადღებას ვაქცევ ბინებში ჰაერის ყოველთვის დროზე გაწმენდას.

ჭიას თუთის ფოთოლს იმ დროს და ისეთი რაოდენობით ვაძლევთ, რომ მან არ იშიმშილოს და საკვები მთლიანად შეჭამოს. ამ მიზნით პირველ სამ ასაკში ჭიას დღეში 7-8-ჯერ, თუ მოვახერხეთ უფრო მეტჯერაც ვკვებავთ. გარდა ამისა, 3-4-ჯერ ღამითაც ვაძლევთ ფოთოლს. უფროს ასაკებში კვების ჯერს ვამცირებთ, მაგრამ ისე, რომ ჭია ყოველთვის მაძღარი გვყავს.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ ჭიის დროზე გამეჩხრებას, რათა თავისუფლად ვითარდებოდეს, და ნაძირის გამოცვლას. ჭიას ვკვებავთ ყოველთვის ახალდამზადებული ფოთლით. ღამის ჯერებისათვის საჭირო ფოთოლს სველ ზეწარქვეშ ვინახავთ. წელს გადაწყვეტილი გვაქვს რგოლში 3,2 კოლოფი თესლიდან მიღებული ჭია გამოვკვებოთ და საშუალოდ კოლოფზე 100 კილოგრამი პარკი მივიღოთ. პირადად მე ერთ კოლოფ თესლზე სულ მცირე 120 კილოგრამი პარკის მიღებას ვკისრულობ. წელს ჩვენი რგოლის წევრები უფრო მეტი მონდომებით ემზადებიან სეზონისათვის.

○ ○

**კლავდია ლომიძე**: ქუთაისის რაიონის სოფელ საყულიის კოლმეურნეობა „კომუნარში“ დიდი შესაძლებლობაა მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის. ამ პირობებს კარგად იყენებს რგოლი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. გასულ წელს საბჭოთა სახელმწიფოს საშუალოდ კოლოფ თესლზე 100,6 კილოგრამი პარკი ჩავაბარეთ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 44,9 კილოგრამისა. მთავარი ის არის, რომ რგოლი ყოველწლიურად უკეთ აწყობს აბრეშუმის ჭიის მოვლას, ამასთან კვების პერიოდს ამცირებს, პარკის გამოსავლიანობას და ხარისხს კი აუმჯობესებს. რგოლის თვითეული წევრი გრძნობს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რაც გვაკისრია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალების შესრულების — ჩვენში მეაბრეშუმეობის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგიდან მოწინავე დარგად გადაქცევის საქმეში. კარგად ვიცით, რომ ყოველი საქმის, მათ შორის მეაბრეშუმეობის ბედს კადრები, საქმის ცოდნა წყვეტს. სისტემატურად ვადევნებ თვალყურს ახალ ლიტერატურას მეაბრეშუმეობის დარგში. წარმატებას დიდად უწყობს ხელს კოლმეურნეთა ერთსულოვანი დარაზმულობა, მათი პატიოსანი ბეჯითი შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ.



გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავლის მიღებისათვის საჭიროა შემდეგი პირობის დაცვა: ყველა ასაკში ჭია ვიყოლიოთ მეჩხრად, ისე რომ ერთმანეთს ნაკლებად ეხებოდნენ, ბინაში არ იყოს სითბო-სიცივის და ტენის ცვალებადობა, ხშირად გავასუფთაოთ ჰაერი, მეორე ასაკიდან დაწყებული ყოველ ასაკში ორჯერ გამოვუცვალოთ ნაძირი და, რაც ასევე მთავარია, ჭიას არ მოვაკლოთ საკვები.

პირველ ორ ასაკში ჭიას დაჭრილ ნორჩ ფოთოლს ვაძლევთ დღეში 8-10-ჯერ, ღამით კი — 3-4-ჯერ. შემდგომ ასაკში დღისით კვების ჯერს ცოტათი ვამცირებთ, ფოთლის რაოდენობას კი ვადიდებთ. აღსანიშნავია შემდეგიც: პირველ ორ ასაკში ჭიას ყველას ერთდროულად ვკვებავთ, შემდეგში კი, რათა ერთნაირად განვითარდნენ, ფოთლის დაყრას ჯერ დაბლა ლასტიდან ვიწყებთ, შემდეგ ჯერზე კი ზემოდან.

წელს მეაბრეშუმეები ბევრად უფრო ორგანიზებული და უკეთ მომზადებული ვხვდებით მოახლოებულ სეზონს — უკვე დავათბუნეთ და გავასუფთავეთ ბინები, დავამზადეთ ლასტები და სხვა ხელსაწყოები, უკეთ ვუვლით თუთის ნარგავებს, ახალი ძალით ვაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას.

ორი წელიწადია, რაც მოსავალს იძლევა საკარმიდამო ნაკვეთზე დარგული 60 ძირი ჯიშიანი თუთა „გრუზია“. გარდა ამისა, გასულ წლებში გადავამყენით 150 ძირი ძველი ხეები, რომლებიც მოსავალს იძლევიან. მთელი პლანტაცია კარგად მაქვს მოვლილი: წელს ყოველ ძირს უკვე მივეცი 1-2 ვედრო ორგანული სასუქი.

○ ○

**ლუბა ჭეიშვილი**: ჩვენმა კოლმეურნეობამ — ქუთაისის რაიონის სოფელ ქვიტირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გასულ წელს 182 კოლოფი თესლიდან მიღებული ჭია გამოკვება, პარკის ჩაბარების გეგმა 120 პროცენტით შეასრულა. მნიშვნელოვნად შევამცირეთ ჭიის გამოკვების დრო. მაგალითად, ნატალია შავგულიძემ და თამარ მამაგეიშვილმა შარშან ისე კარგად მოუარეს ჭიას, რომ პარკი 22-23 დღეში აახვევინეს. პირადად მეც მეაბრეშუმეობაში მუშაობის საკმაო გამოცდილება მაქვს. გასულ წელს 13,5 გრამ თესლზე 62 კილოგრამი პარკი მივიღე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35,1 კილოგრამისა,

უხვი მოსავლის მოყვანის საფუძველია აგრეთვე შრომის სწორად მოწყობა რგოლში. რგოლის თვითეულ წევრს დავალება აქვს მიცემული მისი უნარის მიხედვით; შრომითი რესურსები მთლიანად არის გამოყენებული; მაღალია შრომის დისციპლინა. საწარმოო დავალების წარმატებით შესრულებისათვის რგოლის წევრთა შორის ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება.

ჩვენი კოლმეურნეობა აბრეშუმის პარკის დამზადების სახელმწიფო გეგმას ყოველთვის გაზაფხულის გამოკვებით ასრულებს.

დიდი გლოვის მძიმე დღეებში კოლმეურნეობის წევრებმა ფიცი დავდეთ ვიმუშაოთ მეტი მონდომებით და ვამრავლოთ წარმატებანი. გადავწყვიტეთ მიმდინარე გაზაფხულზე გავაშენოთ 2.000 ძირი ახალი უხვმოსავლიანი ჯიშის თუთის ხეები „გრუზია“ და „ქუთათური“. ამასთან ერთად დავამყნოთ 30.000 ძირი, სპეციალურ სანერგეში გამოვიყვანოთ 20.000 ძირი თესლნერგი.



ქვიტირელი მეაბრეშუმეები ყოველთვის მზარდი რაოდენობით მივცემთ საყვარელ სამშობლოს მრეწველობისათვის ძვირფას ნედლეულს, გადაჭარბებით შევასრულებთ აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის დაწესებულ გეგმებს.

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მარშალ კიმ ირ სენის 31 მარტის განცხადება

**ფხენიანი**, 31 მარტი. (საკდესი). დღეს 31 მარტს, გამოქვეყნდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მარშალ კიმ ირ სენის შემდეგი განცხადება:

„1953 წლის 30 მარტს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ჯოუ ენ-ლაიმ გააკეთა განცხადება ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა გაცვლის საკითხზე, აგრეთვე მთლიანად სამხედრო ტყვეთა საკითხის მოწესრიგებისა და ამით კორეაში ომის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის თაობაზე.

ამასთან დაკავშირებით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს შემდეგს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ზემოხსენებული განცხადება შემუშავებულ იქნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობების საერთო შეთანხმებული აზრის საფუძველზე. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მთლიანად იზიარებს როგორც პოლიტიკური მდგომარეობის შეფასებას, რომელსაც ეს განცხადება შეიცავს, ისე იმ კონკრეტულ დასკვნებსა და წინადადებებს, რომლებიც მასში ჩამოყალიბებულია. ამასთან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა არა მარტო მთლიანად მხარს უჭერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებას, არამედ აგრეთვე სამართლიანად მიაჩნია ეს განცხადება, რომლის მიზანია კორეაში ომის შეწყვეტა. კესონსა და პანმინჯონში ორივე მხარეს შორის მოლაპარაკების მსვლელობაში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უცვლელად ახორციელებდა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკას და ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე მიღწეულიყო შეთანხმება ომის შეწყვეტის შესახებ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც სურს შეწყდეს შემდგომი სისხლისღვრა, მზადაა მიიღოს ღონისძიებანი კორეაში ომის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მისაღწევად იმ წინადადებების შესაბამისად, რომლებსაც შეიცავს ბ-ნ ჯოუ ენ-ლაის ზემოთ აღნიშნული განცხადება. ეს წინადადებები ახალი ნაბიჯია არა მარტო ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა გაცვლის საკითხის, არამედ აგრეთვე სამხედრო ტყვეთა მთელი პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტისათვის, პრობლემისა, რომელიც დღემდე ერთადერთი დაბრკოლებაა ომის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის საქმეში. ეს წინადადებანი უზრუნველყოფენ ყველა იმ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციას, რომლებიც მოითხოვენ რეპატრიაციას, აგრეთვე უზრუნველყოფენ დანარჩენ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხის სამართლიან გადაწყვეტას, რომლებიც გადაეცემა ნეიტრალურ სახელმწიფოს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, მტკიცედ ახორციელებს რა კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების პოლიტიკას, დარწმუნებულია, რომ ამ წინადადებათა მიღების საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნება სამხედრო ტყვეთა საკითხის და, მაშასადამე, კორეაში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა, რაც შეესაბამება ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხთა მისწრაფებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მხარეს გულწრფელად სურს მშვიდობა, იგი აუცილებლად მიიღებს ჩვენს სამართლიან წინადადებებს“.

## ჩინეთ-უნგრეთის სავაჭრო შეთანხმება

**პეკინი**, 31 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ 30 მარტს პეკინში დაიდო ჩინეთ-უნგრეთის შეთანხმება 1953 წელს სავაჭრო გაცვლისა და გადასახდელთა შესახებ. შეთანხმებით გათვალისწინებულია ღირებულებითი გამოხატულებით ვაჭრობის მოცულობის 51,7 პროცენტით გადიდება წინა წელთან შედარებით.

ამ შეთანხმებით უნგრეთი ჩინეთს მიაწვდის სამანქანო მოწყობილობას, სატელეგრაფო-სატელეფონო მოწყობილობასა და ფართო მოხმარების საქონელს. ჩინეთი უნგრეთს მიაწვდის მინერალებს, სოიას, მარცვლეულსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, აგრეთვე ფართო მოხმარების საქონელს.

## დამთავრდა შვეცია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ორკვირეული

**სტოკჰოლმი**, 31 მარტი. (საკდესი). 15-დან 30 მარტამდე შვეციაში მიმდინარეობდა შვეცია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ორკვირეული. ორკვირეულში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციამ მწერალ ა. სოფრონოვის მეთაურობით და საბჭოთა მსახიობების ჯგუფმა, რომელსაც რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი გ. პოლიაკოვი მეთაურობდა.

ორკვირეულის დამთავრების გამო გუშინ სტოკჰოლმში გაიმართა კრება, რომელიც მოაწყო შვეცია-სსრ კავშირის საზოგადოებამ. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ნ. სილვერშელდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შვეცია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ორკვირეულმა ხელი შეუწყო შვეციისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურთიერთგაგების განმტკიცებას, რომ იგი დიდმნიშვნელოვანი წვლილი იყო მშვიდობის საქმეში. სილვერშელდმა განაცხადა, რომ ორკვირეულის განმავლობაში მოეწყო საზოგადოების ხუთი ახალი განყოფილება.

დამსწრენი გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის ხელმძღვანელს ა. სოფრონოვს, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა კრებაზე.

კრების მონაწილეებმა დიდი ინტერესით ნახეს საბჭოთა დოკუმენტალური ფილმი ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის შესახებ.

## შეტევა ნიუ-იორკის მშრომელთა ცხოვრების დონეზე

**ნიუ-იორკი**, 30 მარტი. (საკდესი). 30 მარტს ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა რესპუბლიკელმა დიუიმ ხელი მოაწერა კანონპროექტს რომლითაც ნებადართულია, რომ ბინის ქირა გადიდდეს 15 პროცენტით, თუმცა მშრომელები ბინაში ახლაც იხდიან მთელი თავიანთი შემოსავლის $1/4$-დან $1/3$-მდე.

როგორც პრესა იუწყება, უახლოეს ხანში მნიშვნელოვნად გადიდდება აგრეთვე ქალაქის ტრანსპორტით მგზავრობის ფასი.

# განვითარების ორი გზა—ორი შედეგი

ნიუ-იორკი, 29 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მომავალ მე-15 სესიასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გამოაქვეყნა „მოხსენება 1951-52 წლის საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ“.

მოხსენება შეიცავს მრავალ ფაქტსა და სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც, მის შემდგენელთა სურვილის წინააღმდეგ, ახასიათებენ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ორ გზს: ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების გზს — მშვიდობიანი ეკონომიკის განუწყვეტელი აღმავლობის გზს, რომელიც უზრუნველყოფს ხალხთა მასების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის სისტემატურ ამაღლებას; მეორე მხრივ, კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის განვითარების გზს — სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის, ქვეყნებს შორის კონკურენტული ბრძოლის, იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გაძლიერების გზს.

მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები და ციფრები, მიუხედავად მისი ავტორების მისწრაფებისა — ყოველნაირად შეალამაზონ ეკონომიკური მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ნაწილობრივ ახსნიან იმ დამღუპველ შედეგებს, რომლებიც კაპიტალის ქვეყნებში გამოიწვია სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის პოლიტიკამ, თავშეუკავებელმა გამალებულმა შეიარაღებამ, რასაც ისინი ახორციელებენ. ეს ფაქტები და ციფრები ცხადად მოწმობენ, რომ დროებითი ფაქტორები, რომლებმაც შეერთებულ შტატებსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს შესაძლებლობა მისცა რამდენადმე აემაღლებინათ თავიანთი წარმოების დონე, ძირითადად ამოიწურა.

სამხედრო წარმოების ერთგვარი ბუმის შემდეგ, რომელიც 1950-1951 წლების განმავლობაში გრძელდებოდა, დაიწყო, როგორც ნათქვამია მოხსენებაში, „მოთხოვნილების შემცირება და სტაბილიზაცია ან დეპრესიაც კი, რომლებიც 1952 წლის განმავლობაში გაგრძელდა... ამ ქვეყნების სამრეწველო წარმოების საერთო ინდექსი 1952 წელს 1951 წელთან შედარებით არ შეცვლილა“. მაგრამ, როგორც შემდეგ მოხსენებიდან ჩანს, მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში სამრეწველო წარმოების დონე 1952 წელს 1951 წლის დონეზე დაბალი იყო. მაგალითად, ბელგიაში სამრეწველო წარმოება 1952 წელს 1951 წელთან შედარებით შემცირდა 5 პროცენტით, დანიაში — 4 პროცენტით, ინგლისში — 3 პროცენტით, შვეციაში — 2 პროცენტით. შეერთებულ შტატებში, იტალიაში, ჰოლანდიასა და ნორვეგიაში სამრეწველო წარმოება 1952 წელს 1951 წლის დონეზე დარჩა.

ეს ციფრები ცხადყოფენ, რომ სამრეწველო წარმოების შენელებისა და ერთგვარი დაცემის მოვლენები, რომლებმაც მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ 1951 წელს იჩინა თავი, 1952 წელს იყო თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ფაქტს ვერ აუარეს გვერდი მოხსენების შემდგენლებმაც კი, უწოდეს რა ამ მოვლენებს კაპიტალისტური ქვეყნების გასული წლის ეკონომიკური განვითარების „დამახასიათებელი თავისებურება“. „სამრეწველო წარმოების დონის დაცემა, — აღნიშნულია მოხსენებაში, — მოხდა უმთავრესად მსუბუქი მრეწველობის დარგებში“. მოხსენების მონაცემებით, საფეიქრო ნაწარმის გამოშვება 1951-1952 წელს 1950-1951 წელთან შედარებით დაეცა ბელგიაში — 29 პროცენტით, დანიაში — 22 პროცენტით, კანადაში — 21 პროცენტით, შეერთებულ შტატებში — 19 პროცენტით, ჰოლანდიაში — 16 პროცენტით, ინგლისში — 15 პროცენტით.

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მოხსენება 1951-1952 წლის საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

წარმოების დონის შემცირებას, განსაკუთრებით მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც სამოქალაქო მოხმარების საქონელს ამზადებენ, შედეგად მოჰყვა მრავალი საწარმოს დახურვა და უმუშევრობის ზრდა. „1952 წელს, — ნათქვამია მოხსენებაში, — უმუშევრობა უმთავრესად კონცენტრირებული იყო მრეწველობის სექტორში, რომელიც სამოქალაქო მოხმარების საქონელს ამზადებს“. „უმუშევრობის მნიშვნელოვანი ზრდა, — ნათქვამია მოხსენებაში, — მოხდა ბელგიაში, იტალიაში, ჰოლანდიაში, ინგლისსა და დანიაში“.

მოხსენებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მთელი რიგი ფაქტორების შედეგად, ხოლო უმთავრესად „სამხედრო ხარჯების დასაფინანსებლად განკუთვნილი როგორც არაპირდაპირი, ისე აგრეთვე პირდაპირი გადასახადების გადიდების“ გამო 1952 წელს კაპიტალისტურ ქვეყნებში მოხდა მოსახლეობის მყიდველობითი უნარის შემდგომი დაცემა, რამაც გამოიწვია მოხმარების კიდევ უფრო შემცირება.

მოსახლეობის მყიდველობითი უნარის შემცირებასთან ერთად კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარეობდა სამოქალაქო მოხმარების საქონლის ფასების შემდგომი ზრდა. მაგალითად, საფრანგეთში სამოქალაქო მოხმარების საქონლის ფასები 1951-52 წელს 1950 და 1951 წლებთან შედარებით გადიდდა 22 პროცენტით, შვეციაში — 16 პროცენტით, ნორვეგიაში — 14 პროცენტით, ინგლისში — 10 პროცენტით, კანადაში, დასავლეთ გერმანიაში, დანიაში — 9 პროცენტით, შეერთებულ შტატებში — 5 პროცენტით, რის შედეგად შემდგომ გაიზარდა სიძვირე.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სამრეწველო წარმოების დონის დაცემასთან ერთად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაც. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება 1951-1952 წელს 1950 და 1951 წლებთან შედარებით შემცირდა ნორვეგიასა და დანიაში 6 პროცენტით, ავსტრალიაში — 5 პროცენტით, ინგლისსა და შვეციაში — 4 პროცენტით.

მოხსენება შეიცავს აგრეთვე მთელ რიგ ცნობებს, რომლებიც მოწმობენ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის შემდგომ მოშლას. მოხსენებაში გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, კაპიტალისტურ ქვეყნებში მოხდა მათი საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობის შემდგომი შემცირება. „1952 წლის პირველ 9 თვეში, — როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, — საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ჩინეთის გამოკლებით) შემცირდა გასულ წელთან შედარებით... ზოგიერთი ქვეყნები, რომლებმაც 1951 წელს სიძნელე განიცადეს საგადამხდელო ბალანსში, იძულებული გახდნენ შეემცირებინათ იმპორტი 1951 წელს და ამ მიზნით განახორციელეს დეფლაციური საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკა ანდა შემოიღეს საიმპორტო შეზღუდვანი“. ჰოლანდიის იმპორტი 1952 წლის პირველ 9 თვეში 1951 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 19 პროცენტით, ბელგიისა და ლუქსემბურგისა — 15 პროცენტით, შვეციისა — 11 პროცენტით, შვეიცარიისა — 15 პროცენტით, ინგლისისა — 9 პროცენტით. ბელგიისა და ლუქსემბურგის ექსპორტი ამავე პერიოდში შემცირდა 30 პროცენტით, იტალიის — 19 პროცენტით, საფრანგეთის — 17 პროცენტით, ნორვეგიისა და შვეციისა — 14 პროცენტით, ინგლისისა — 6 პროცენტით.

მიუხედავად მოხსენების ავტორთა მისწრაფებისა ყოველი ღონისძიებით შეამცირონ საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიკური მიღწევები, სოციალისტური ეკონომიკის განუხრელი აღმავლობა მკაფიოდ ჩანს კაპიტალისტური ეკონომიკის უმოძრაობისა და დაცემის შავბნელი სურათის ფონზე. კაპიტალის ქვეყნებში სამრეწველო წარმოების 1952 წლის დონის დაქვეითებისაგან განსხვავებით სოციალისტური ეკონომიკის ქვეყნებში შესამჩნევი იყო სამრეწველო წარმოების შემდგომი ზრდა, რომელიც, როგორც ნათქვამია მოხსენებაში, „მნიშვნელოვნად გაიზარდა 1950 წლიდან 1951 წლამდე და 1951-დან 1952 წლამდე... სამრეწველო წარმოების ზრდას ამ ქვეყნებში თან ახლდა ძირითადი კაპიტალის მნიშვნელოვანი გადიდება და წარმოების საუკეთესო მეთოდების დანერგვა, რამაც უზრუნველყო წარმადობის მნიშვნელოვანი აღმავლობა“.

წინააღმდეგ კაპიტალის ქვეყნებისა, სადაც შემცირდა სამოქალაქო პროდუქციის გამოშვება და იკლო მოთხოვნილებამ და მოხმარებამ, საბჭოთა კავშირში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში 1952 წელს ხდებოდა სამოქალაქო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი ზრდა და მოხმარების ზრდა. ეს ვერც მოხსენების ავტორებმა დამალეს. „საბჭოთა კავშირში, — აღნიშნულია მოხსენებაში, — სამოქალაქო პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვანმა ზრდამ შექმნა შესაძლებლობა 1951 და 1952 წლებში შემდგომ შეემცირებინათ საქონლის ფასები“. მოხსენება აღნიშნავს აგრეთვე მოხმარების გადიდებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. მოხსენების სპეციალური კარი მიძღვნილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951-55 წლების ხუთწლიანი გეგმის დახასიათებისადმი.

მოხსენების სპეციალურ კარში, რომელიც მიძღვნილია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის მიმოხილვისადმი, ყურადღება ექცევა ჩინეთში სამრეწველო წარმოების ზრდის ჩქარ ტემპს.

მოხსენებაში აღნიშნულია აგრეთვე სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ურთიერთ შორის ვაჭრობის მოცულობის შემდგომი გადიდება.

ამასთან ერთად მოხსენებაში აღნიშნულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ვაჭრობის გადიდება ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანასთან.

„დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ, — წერენ მოხსენების ავტორები, — რომლებსაც საფეიქრო ნაწარმი გააქვთ, 1952 წლის პირველ ნახევარში გაადიდა საფეიქრო ნაწარმის მიწოდება აღმოსავლეთ ევროპაში. აგრეთვე შესამჩნევი იყო ინგლისიდან და მისი კოლონიებიდან საბჭოთა კავშირში კაუჩუკის ექსპორტის გადიდება 1952 წლის პირველ ნახევარში. ფინეთის ვაჭრობის საერთო თანხა საბჭოთა კავშირთან 1952 წელს გადიდდა... ზოგიერთმა სხვა ქვეყანამაც გაადიდა აღმოსავლეთ ევროპასთან ვაჭრობის მოცულობა 1952 წლის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით შუა აღმოსავლეთის მთელმა რიგმა ქვეყნებმა“.

ამრიგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მოხსენება, ადარებს რა ოფიციალურ ფაქტებსა და ციფრებს, რომლებიც ახასიათებენ სოციალისტური და კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებას, სურდათ თუ არ სურდათ ეს მის შემდგენლებს, ცხადყოფს, თუ რა შეუდარებელი უპირატესობანი აქვს სოციალისტურ ეკონომიკას, რომელიც შემდგომი აღმავლობისა და აყვავების გზით მიდის, კაპიტალისტური ეკონომიკის წინაშე, რომელიც უძრაობასა და დაცემას განიცდის.

## სილიანი გრიგალი ეგვიპტეში

ლონდონი, 31 მარტი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კაიროდან იუწყება: გუშინ ქვემო ეგვიპტეში ამოვარდა ძლიერი სილიანი გრიგალი, რის შედეგადაც შეუძლებელია ნავსადგურებითა და აეროდრომებით სარგებლობა. საფრანგეთის ლაინერი „პასტერი“ ორჯერ დაჯდა მეჩეჩზე სუეცის არხში, რის შედეგადაც არხით მოძრაობა შეწყდა.

## პოლიტიკური შენიშვნები

# ბელგრადელი ჯალათი სტუმრად ინგლისის მმართველებთან

გასულ კვირაში იუგოსლაველ ფაშისტთა მეთაური, ამერიკელ-ინგლისელთა ბელგრადის ჯაშუშური ცენტრის შეფი, პირსისხლიანი ჯალათი ტიტო ლონდონში იყო. იგი იქ იმ მიზნით ჩავიდა, რომ გაეკეთებინა მოხსენება თავისი, როგორც ბალკანეთში ომის გამჩაღებლის, საქმიანობის შესახებ და მიეღო შემდგომი განკარგულებები და ინსტრუქციები.

სავსებით გასაგებია, რომ ბურჟუაზიული პრესა და რადიო, მხედველობაში იღებდნენ რა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაკრულ მითითებებს, არ ეხებოდნენ ბელგრადელი ობერჯაშუშის ვიზიტის ამ დანიშნულებას. მაგრამ ჩერჩილის მიერ მიღებულმა სიფრთხილის პოლიციურმა ღონისძიებებმა, რომელთა მიზანი იყო დაემალათ ტიტო ინგლისის საზოგადოებრიობისათვის, იმდენად უმაგალითო მასშტაბი მიიღო, რომ ყველაფერს მიჩვეულმა ბურჟუაზიულმა მეგაზეთე შინაყმებმაც კი თავი შეიკავეს იმ ოფიციალური ვერსიის გამოქვეყნებისაგან, რომ ტიტო ლონდონში თითქოს „ინგლისელ ხალხთან შესახვედრად“ ჩავიდა.

მთელ გზაზე — ხმელთაშუა ზღვაში, ლა-მანშის სრუტეში და ტემზაზე თვით ვესტმინსტერამდე — ჩერჩილის სტუმარს იცავდნენ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდები. ლონდონში ჩასვლისთანავე მას მცველებად მოევლინენ პოლიციის ჯავშნიანი მანქანები, ფოლადის მუზარადიან პოლიციელ მოტოციკლისტთა კავალკადა, პოლიციის რადიოავტომობილები, ცხენოსანი პოლიცია, ფორმიანი და სამოქალაქო ტანსაცმლიანი პოლიციელები და პოლიციის ძაღლები. როგორც პრესა აღნიშნავს, კიუვეტებიც კი იმ გზების გაყოლებით, რომლებითაც ტიტო მიდიოდა, „მოსინჯა საიდუმლო პოლიციამ“. პოლიცია უხეშად ერეკებოდა ლონდონელებს ტემზის ხიდებიდან, როცა მდინარეზე მცველთა თანხლებით მიდიოდა ბელგრადელი დიქტატორის კატერი.

ლონდონში ტიტოს შეხვდა ჩერჩილი. ტიტო მას მიესალმა „როგორც თავის ძველ მეგობარს“. „ტიტომ, — წერდა გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“, — იცოდა, თუ რაოდენ მადლიერი უნდა იყოს იგი მისტერ ჩერჩილისა იმ დახმარებისათვის,... რომლის მეოხებითაც მან ძალაუფლება მოიპოვა იუგოსლავიაში“.

თუნდაც ოდნავ რომ ნოეჩვენებინა თავი „წესიერ სტუმრად“, ტიტომ რამდენიმე წუთი მოანდომა ბრიტანეთის მუზეუმის სახელდახელო დათვალიერებას, — დილით ადრე, როცა მუზეუმი მნახველთათვის ჯერ კიდევ დახურული იყო. მან ელვის სისწრაფით დაათვალიერა აგრეთვე ტაუერის ციხე და დაესწრო ლონდონის საგრაფოს საბჭოს სხდომას, სადაც ჩაიდინა მისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი აქტი სამარცხვინო ფარისევლობისა. იმ მომენტში, როცა იუგოსლავიის ქალაქებსა და სოფლებში ათეულ და ასეულ ათასობით ბავშვი შიმშილისაგან იტანჯება და ფაქტიურად შიმშილით კვდება, მან ლონდონის საგრაფოს საბჭოს გადასცა 1.000 გირვანქა სტერლინგის ჩეკი „ინგლისში ობოლი ბავშვებისათვის დახმარების გასაწევად“!

და ამ ვიზიტში თუმცა ბევრი რამ წააგავდა იაფფასიან ვოდევილს, რომელშიც ბელგრადელი პირსისხლიანი ტაკიმასხარა გამოდიოდა დილით ადმირალის ფორმით, სადილს შემდეგ — მარშალის ოქრომკედით ნაქარგი მუნდირით, ხოლო საღამოს — დიპლომატის ოფიციალური კოსტიუმით, ეს ტაკიმასხარობა ძვირად დაუჯდა ინგლისელ ხალხს. ინგლისის საზოგადოებრიობა რომ მოეტყუებინა და ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ იღებდა ვინმე „მაღალთანამდებობის პირს“ და არა ბინძურ მკვლელსა და ჯაშუშს, ჩერჩილმა, თავისი ტაკიმასხარა სტუმრის განდიდების მანიის დასაკმაყოფილებლად, ტიტოსათვის ჭეშმარიტად ძველი რომაული სანახაობანი მოაწყო. უბედურ „გლადიატორებად“, რომელთა სიცოცხლე მსხვერპლად შესწირეს ბელგრადელი ფაშისტი ტირანის პატივმოყვარეობას, აღმოჩნდნენ ინგლისელი მფრინავები, ექვსი კაცი, რომლებიც ჩამოვარდნენ და დაიღუპნენ სპეციალური სამხედრო-საჰაერო შეჯიბრების დროს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ტიტომ მეტი წილი დრო ერთ შენობაში გაატარა — № 10 სახლში დაუნინგ-სტრიტის ქუჩაზე, ჩერჩილის რეზიდენციაში, — ხალხების წინააღმდეგ ბევრი ბოროტი შეთქმულების ადგილას, ბალკანეთის ქვეყნების რუკებთან. გარდა ჩერჩილ-უხუცესისა და „ოპოზიციის“ ლიდერ ეტლისა, ბელგრადელი ჯაშუში აქ შეხვდა თავის ძველ კოლეგებს — რანდოლფ ჩერჩილს, ბრიგადის გენერალ მაკლინს და ინგლისის საიდუმლო სამსახურის სხვა მესვეურს.

ტიტოს მიერ ჩერჩილთან და მის წრესთან გატარებულმა მრავალმა საათმა დაადასტურა, რომ აქ მსჯელობდნენ იმ აგრესიული სამხედრო პაქტის სხვადასხვა ასპექტზე, რომელიც ტიტომ საბერძნეთისა და თურქეთის მმართველებთან დადო, რომ ტიტოს ვიზიტი ლონდონში მჭიდროდ არის დაკავშირებული ომის ინგლისელი გამჩაღებლების გეგმებთან.

ბელგრად-ათენ-ანკარის ფაშისტური ღერძის შექმნის სწორედ წინადღეს გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ მას ასეთი შეფასება მისცა: „საბერძნეთს, თურქეთსა და იუგოსლავიას შორის სამხედრო ურთიერთგაგების დამყარება ბელგრადს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის თანამონაწილეს გახდის“. შემდეგ რეაქციულმა გაზეთმა წამოაყრანტალა ამ პაქტის ნამდვილი აგრესიული მიზნები, რომლებიც მიმართულია მეზობელი სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. კომენტარს უკეთებდა რა იმ საკითხებს, რომლებიც ტიტოს უნდა განეხილა ლონდონში თავისი ვიზიტის დროს, რეაქციული გაზეთი „სანდი ტაიმსი“ 15 მარტს გადაკვრით აღნიშნავდა, რომ, შესაძლოა, დადგა დრო სახალხო დემოკრატიული ალბანეთის წინააღმდეგ ახალი პროვოკაციებისათვის და ალბანელი ხალხის მასების საძულველი ძველი რეჟიმის აღდგენისათვის.

გასულ თვეში ალბანეთში შეპყრობილმა რვა ჯაშუშმა აღიარა, რომ ისინი ალბანეთში შემოგზავნა ინგლისის დაზვერვამ და რომ მათ გაიარეს ჯაშუშობის კურსი სპეციალურ სკოლაში, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ ინგლისშია. როგორც გამოირკვა, ეს ჯაშუშური სკოლა ჩერჩილისა და ტიტოს დამაკავშირებლის და ბალკანეთის საკითხებზე ინგლისის დაზვერვის „ექსპერტის“ მაკლინის ქალაქგარეთა ვილის გვერდით მდებარეობს.

ტიტოს ხროვის პოლიტიკამ იუგოსლავიის ხალხს მოუტანა აუტანელი ექსპლოატაცია, შიმშილი, უმუშევრობა, აურაცხელი უბედურება. ტიტოს ვიზიტი ლონდონში ჩერჩილმა მოიფიქრა როგორც იმის ცდა, რომ ხელი შეუწყოს გაკოტრებულ ბელგრადელ ჯალათს, დაფაროს ბალკანეთში მშვიდობის წინააღმდეგ ბოროტი შეთქმულება და მოამარაგოს ტიტო იარაღით საზარბაზნე ხორცის სანაცვლოდ. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო ახალი ბინძური გარიგება იუგოსლავიის ხალხთა ხარჯზე. ლონდონის გაზეთი „დეილი უორკერი“ ამასთან დაკავშირებით სამართლიანად წერდა: „ინგლისიდან რომ მიდის, ტიტოს ჯიბეში უდევს სამხედრო პაქტი ჩერჩილთან და ინსტრუქციები — განაგრძოს თავისი სამხედრო პროვოკაციები სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ“.

მაგრამ ისტორიაში უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნით არა მჩაგვრელებსა და ჯალათებს, არამედ ხალხთა მასებს. ინგლისელი ხალხი ტიტოს შეხვდა მტრული დუმილით, ვინაიდან მისი სახით ხედავდა იუგოსლავიის ხალხთა გამცემს და ბალკანეთში ომის პროვოკატორს, რომელიც ლონდონში იმისათვის ჩავიდა, რომ ჩერჩილთან ერთად მოემზადებინა კიდევ ერთი შეთქმულება მშვიდობის წინააღმდეგ. იუგოსლავიის ხალხები და მთელი მსოფლიოს ხალხები ტიტო-ჩერჩილის ამ შეთქმულებას უპასუხებენ გაორკეცებული სიფხიზლით, გაათკეცებული აქტივობით მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

**იან მარეკი**

(გაზეთი „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის“, 27-III).

## კორეის ამბები

### სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 31 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის ორი თვითმფრინავი.

## ინდონეზიის მთავრობა მხარს უჭერს ბირმის საჩივარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ჯაკარტა, 31 მარტი. (საკდესი). ინდონეზიის მთავრობა და ფართო საზოგადოებრიობა მხარს უჭერენ ბირმის მთავრობის საჩივარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბირმაში გომინდანელთა ბანდების აგრესიულ მოქმედებაზე.

გაზეთი „აბადი“, მიესალმება რა ინდონეზიის მთავრობის განცხადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბირმის საჩივრის მხარდაჭერის შესახებ, წერს:

„ამჟამად გომინდანელთა ჯარების რიცხობრივი შემადგენლობა ბირმის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 12 ათას კაცს უდრის. ეს ციფრი სულ უფრო მატულობს. ინდონეზიის მთავრობა სწორად მოიქცა, როცა მხარი დაუჭირა ბირმის მთავრობის საჩივარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. უცხოეთის არმიის ყოფნა ბირმის ტერიტორიაზე ამ ქვეყნის მთავრობის დაუთანხმებლად განხილულ უნდა იქნეს როგორც აგრესიის აქტი. გომინდანელთა ჯარებს ბირმის ტერიტორიაზე არაფერი ესაქმებათ; ეს ჯარები იქ იმყოფებიან ბირმის მთავრობის თანხმობის გარეშე. უფრო მეტიც, გომინდანელთა ჯარები ბირმელ ხალხში უდიდეს შეშფოთებას იწვევენ. ისინი მოსახლეობას ძარცვავენ“.

გაზეთი „ინდონეზია რაია“ აგრეთვე მიესალმება ინდონეზიის მთავრობის გადაწყვეტილებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბირმის საჩივრის მხარდაჭერის შესახებ.

## პრეზიდენტმა ეინაუდიმ ხელი მოაწერა კანონს საარჩევნო სისტემის „რეფორმის“ შესახებ

რომი, 31 მარტი. (საკდესი). როგორც ანსას სააგენტო იუწყება, იტალიის პრეზიდენტმა ეინაუდიმ ხელი მოაწერა კანონს საარჩევნო სისტემის „რეფორმის“ შესახებ.

## პროტესტები იტალიის სენატის თავმჯდომარის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ

რომი, 31 მარტი. (საკდესი). გუშინ გაიმართა კომუნისტური და სოციალისტური პარტიების სენატის ჯგუფების სხდომა, რომლის დამთავრების შემდეგაც გამოქვეყნდა ასეთი ცნობა: „სენატის კომუნისტურმა და სოციალისტურმა ჯგუფებმა სისხლის სამართლის კოდექსის 283-ე მუხლის (კონსტიტუციის ხელყოფა) და 289-ე მუხლის (საკონსტიტუციო ორგანოების ხელყოფა) საფუძველზე განიხილეს ამბავი, რაც მოხდა 29 მარტს უგუნური მანევრის დროს, რომელიც მოაწყო უმეტესობის თავმჯდომარემ მთავრობის თანხმობით, მანევრისა, რომელიც ეწინააღმდეგება სენატის პრეროგატივებს და მისი თავმჯდომარის ფუნქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კონსტიტუციით. დარწმუნდა რა მომხდარი ამბების დანაშაულებრივ ხასიათში და გამოარკვია რა, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ამბებისათვის, სენატის ორივე ჯგუფმა გადაწყვიტა სათანადო სასამართლო ინსტანციების წინაშე აღძრას საქმე სენატის თავმჯდომარის მეუჩო რუინის წინააღმდეგ, რომელმაც განიზრახა და ჩაიდინა უმაგალითო ხელყოფა პარლამენტისა, რომელიც რესპუბლიკური დემოკრატიის ძირითადი ორგანოა“.

როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, სენატის ვიცე-თავმჯდომარეებმა სკოჩიმარომ და მოლემ და სენატორებმა ტერაჩინიმ (კომუნისტი), პერტინიმ (სოციალისტი) ინახულეს რესპუბლიკის პრეზიდენტი ეინაუდი და განუცხადეს მას, რომ ოპოზიციას უკანონოდ მიაჩნია საარჩევნო კანონპროექტის „კენჭისყრა“.

ეინაუდი ინახულეს აგრეთვე სხვა გავლენიანმა სენატორებმა: რესპუბლიკელმა პარიმ, დამოუკიდებელმა ლიბერალებმა იანაკონემ, ბერგამინიმ, ტომაზი დელა ტორეტამ.

მათ განუცხადეს პრეზიდენტს, რომ სენატში მოხდა უკანონო და მიუღებელი კენჭისყრა. იანაკონემ განაცხადა, ლიბერალური პარტიის სენატის ჯგუფიდან გავდივარო.

დემოკრატიული გაზეთები იუწყებიან სენატის სხდომის ოფიციალური ანგარიშის სასკანდალო ფალსიფიკაციას. სენატის თავმჯდომარემ რუინიმ განაცხადა, რომ კანონპროექტი „მოწონებულ“ იქნა 174 ხმით, მაშინ როცა ანგარიშში მოყვანილია მხოლოდ 172 სენატორის გვარი. ამ რიცხვში შედიან სენატის კომუნისტური პარტიის ჯგუფის თავმჯდომარე სკოჩიმარო, სენატის წევრი — კომუნისტი ქალი ზეი, აგრეთვე ერთი სენატორი — სოციალ-დემოკრატი, რომელიც როგორც ეს გამოირკვა, კანონპროექტის „კენჭისყრის“ მომენტში 700 კილომეტრზე იმყოფებოდა რომიდან.

იუწყებიან, რომ სენატის სტენოგრაფებმა და მოხელეებმა უარი თქვეს შეედგინათ ამ სხდომის ოფიციალური ანგარიში, და ანგარიში მთავრობის მითითებით დაწერა რამდენიმე ქრისტიან-დემოკრატმა სენატორმა.

## ავსტრიელ მშრომელთა მყიდველობითი უნარის შემცირება

ვენა, 31 მარტი. (საკდესი). როგორც ავსტრიის ეკონომიკურ გამოკვლევათა ინსტიტუტის 1953 წლის თებერვლის ანგარიშიდან ჩანს, ფასებსა და ხელფასზე უკანასკნელი შეთანხმების დადების მომენტიდან (1951 წლის ივლისი) ავსტრიელ მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი მნიშვნელოვნად შემცირდა.

კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია რომ, თუ 1951 წლის ივლისში ოთხი კაცისაგან შემდგარი ოჯახის საარსებო მინიმუმის ღირებულება კვირაში 380 შილინგს შეადგენდა, 1952 წელს ასეთივე ოჯახის ერთი კვირის საარსებო მინიმუმის ღირებულება საშუალოდ 455 შილინგს უდრიდა. ესე იგი 55 შილინგით მეტი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა ყოველთვიურად ოთხი კაცისაგან შემდგარი ოჯახი იძულებულია იყიდოს 220 შილინგით ნაკლები კვების პროდუქტები და ფართო მოხმარების საქონელი, ვიდრე 1951 წელს.

## საწარმოო პროპაგანდა კლუბში

რუსთავი. (საქდესი). ყოველ საღამოობით იკრიბებიან თავიანთ კლუბში ქალაქ რუსთავის მშენებლები, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. აქ ისინი ისმენენ ლექციებს ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომაზე „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესახებ, ეცნობიან წარმოების ნოვატორთა გამოცდილებას, ისმენენ მხატვრული თვითმოქმედების კონცერტებს.

კლუბი ფართო საწარმოო პროპაგანდას ეწევა. აქ მარტო ამ უკანასკნელ ხანს მოისმინეს ვ. თუმანიშვილის ლექცია თემაზე „დაბალი მარკის ბეტონებისა და ხსნართა პლასტიფიკაცია“, შ. ნათენაძისა — „შელესვის სამუშაოთა მექანიზაცია“, შრომის სტახანოვური მეთოდების ინსტრუქტორის კალატოზ გ. მაისურაძისა „ქვის წყობის სამუშაოთა მოწინავე მეთოდები“; მეფოლადე შ. კუხალეიშვილისა „ჩქაროსნული დნობის ჩემი მეთოდი“.

მოხსენებანი შრომის თავიანთი ნოვატორული მეთოდების შესახებ გააკეთეს აგრეთვე მეფოლადე ზ. კვახაძემ, კალატოზმა ა. წიკლაურმა, შემლესავმა ა. ელიზაროვმა და წარმოების სხვა წარჩინებულმა ადამიანებმა. კლუბში გამოფენილია ფოტოსურათების, ნახატებისა და დიაგრამების სტენდები.

## საქართველოს პირველობის ნახევარფინალი ჭადრაკში

დღეს ამიერკავკასიის რკინიგზის ტექნიკური აღზრდისა და პროპაგანდის სახლში დაიწყება საქართველოს 1953 წლის პირველობის გათამაშების ნახევარფინალი ჭადრაკში.

ნახევარფინალში მონაწილე მოჭადრაკეები გაყოფილია ორ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში შედის 16 მოჭადრაკე, რომელთა უმრავლესობას წარმოადგენენ პირველთანრიგოსანი მოჭადრაკეები და ოსტატობის კანდიდატები.

თბილისიდან მონაწილეობას მიიღებს 14 მოჭადრაკე, მათ შორის ოსტატობის კანდიდატები — ნ. სოროკინი, ა. ბლაგიძე, ბ. გურგენიძე, ვ. ქარსელაძე და სხვ., თბილისის ოლქიდან — 5 მოჭადრაკე, აფხაზეთიდან და აჭარიდან — 3-3 მოჭადრაკე, ქუთაისის ოლქიდან — 5, სამხრეთოსეთიდან — 2. ჯგუფებში გამარჯვებული 5-5 მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პირველობის გათამაშების ფინალში.

გუშინ მოეწყო კენჭისყრა.

შეჯიბრების მთავარი მსაჯია ოსტატობის კანდიდატი ა. ფირცხალავა.

## თბილისელ სპორტსმენთა ახალი წარმატება

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენთა შეჯიბრება ტრადიციულ ასპარეზობად გადაიქცა.

ასეთი მორიგი შეჯიბრება გაიმართა 28 და 29 მარტს ბაქოში. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის, ბაქოსა და ერევნის მოზარდ მცურავთა ნაკრები კოლექტივები.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისელ მცურავთა კოლექტივმა, რომელმაც 17.037 ქულა შეაგროვა. ბაქოს გუნდმა 14.727 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ერევნელმა სპორტსმენებმა შეაგროვეს 9.994 ქულა.

შეჯიბრების დღეებში თბილისელმა სპორტსმენებმა ცურვის სხვადასხვა სახეობაში დაამყარეს ჩვენი რესპუბლიკის რვა ახალი რეკორდი. საშუალო ასაკის მოზარდთა შორის 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში პირველი ადგილი დაიკავა და რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა რ. არკადიევამ, რომელმაც ეს მანძილი დაფარა 1 წუთსა და 15,3 წამში. 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში უფროსი ასაკის გოგონათა შორის გაიმარჯვა ე. შავდიამ.

ამავე შეჯიბრებაში სხვადასხვა მანძილზე და სტილით ცურვაში გაიმარჯვეს თბილისელმა მცურავებმა მ. მჭედლიძემ, ე. ზაქარეიშვილმა, ბ. მეგედმა, ბ. სუნდუკოვამ, ნ. ზელენცოვმა, ი. ქურილოვამ, ა. მიკირტუმოვამ, დ. პეტრენკომ, ბ. ჩერნიშევმა, ვ. შიხიკიანმა და სხვებმა.

თბილისის მოზარდ მცურავთა კოლექტივი დაჯილდოებულია გარდამავალი ჯილდოთი — თასით და დიპლომით.

* * *

ერევანში რამდენიმე დღის საინტერესო ასპარეზობის შემდეგ დამთავრდა ოთხი ქალაქის — ბაქოს, თბილისის, როსტოვისა და ერევნის ნორჩ კალათბურთელთა გუნდების შეჯიბრება. საქალაქთაშორისო შეხვედრებში პირველი ადგილი დაიკავეს თბილისის გოგონათა და ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდებმა.

## თეატრალური ქრონიკა

### „ოჯახის ღირსება“ მარჯანიშვილის თეატრში

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა 31 მარტსა და 1 აპრილს მაყურებელს უჩვენა თურქმენი საბჭოთა დრამატურგის, სტალინური პრემიის ლაურეატის ჰუსეინ მუხთაროვის პიესა „ოჯახის ღირსება“. დადგმა ეკუთვნის ლ. შატბერაშვილს, მუსიკა დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. კერესელიძემ, მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. შტენბერგმა.

სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. ღამბაშიძე (ალან მერდანოვი), რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი გ. შავგულიძე (ბაირამი), რესპუბლიკის სახალხო არტისტი ს. თაყაიშვილი (ბიკე), მსახიობები გ. ჭოხონელიძე, შ. ქოჩორაძე, მ. თბილელი, გ. გელოვანი.

### გრიბოედოვის სახ. თეატრის ახალი დადგმები

უახლოეს ხანში თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრი მაყურებელს უჩვენებს პიესას „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“. პიესა დაწერილია თეატრის მსახიობის კ. მიუფკეს მიერ პ. აბრახემსის რომანის — „ქუხილის ბილიკით“ მიხედვით.

პიესას დგამს რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. თაყაიშვილი, აფორმებს მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. შტენბერგი. როლებს ასრულებენ ი. რუსინოვი, ნ. ჟავორონკოვი, კ. მიუფკე, თ. ბელოუსოვა, ა. სმირანინი და სხვ.

მორიგ დადგმად ნაჩვენები იქნება ძმების ტურების პიესა „მესამე ახალგაზრდობა“, რომელსაც დადგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი გ. ლვინიაშვილი. დეკორაციებს წერს ახალგაზრდა მხატვარი ი. დონცოვა.

დასადგმელად მიღებულია აგრეთვე ს. მიხალკოვის კომედია-სატირა „კიბოები“.

### სომხური დრამის თეატრში

28 მარტს თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრში შედგა სტალინური პრემიის ლაურეატის სამედ ვურგუნის პიესის „ხანლარის“ პრემიერა.

მთავარ როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. ლუსინიანი, ვ. ეხშატიანი, რ. პაპოვიანი, ბ. ნერსესიანი.

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ფ. ბეკიანმა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ რ. ნალბანდიანს, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა გ. შახბაგიანმა.

დრამატული პოემა „ხანლარი“ სომხურ ენაზე თარგმნა ა. ქაჯვორიანმა.

### პრემიერა ჭიათურის თეატრში

ა. წერეთლის სახელობის თეატრის კოლექტივმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის პიესა-ზღაპარი „ნაცარქექია“. სპექტაკლი დადგეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა პ. ფრანგიშვილმა და ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ცომაიამ; მხატვრულად გააფორმა მხატვარმა ნ. აბაკელიძემ.

სპექტაკლში მონაწილეობენ: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. აბაშიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები გ. ნუცუბიძე და მ. ვაშაძე, მსახიობები მ. კუსიანი, შ. ბანეთიშვილი, ა. დათებაშვილი, ნ. ქუთათელაძე, ვ. სვანელი და სხვ.

## მეცნიერებათა აკადემიაში

2 აპრილს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შედგება აკადემიის ნამდვილი წევრების, წევრი-კორესპონდენტებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების საერთო კრება. დღის წესრიგშია: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი, ი. ბ. სტალინის გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ამოცანები“ (მომხსენებელი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი), აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1952 წლის მუშაობის ანგარიშისა და 1953 წლის თემატიკური გეგმების განხილვა-დამტკიცება (მომხსენებელი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი გ. ძოწენიძე).

რედაქტორი გ. მერკვილაძე.


**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 2 აპრილს | ჯ. ვერდი — აიდა (ვ. ა. დავიდოვას მონაწილეობით). |
| 3 აპრილს | ზ. ფალიაშვილი— აბესალომ და ეთერი |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მოქალაქე ფლორა კარაპეტის ასულმა რისტაკიანმა, მცხოვრებმა კლარა ცეტკინის ქ. № 74, აღძრა საქმე წინოშვილის ქ. № 14 მცხოვრებ მოქალაქე ანდრო ამბროსის-ძე შიხლარიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ-პედაგოგები და თანამშრომლები იუწყებიან მარიამ თეიმურაზის ასულ ბოკუჩავას გარდაცვალებას.

მშობლები მარიამ, გალაქტიონ, ძმები ალექსანდრე, დომენტი, შალვა, რძლები თამარ, თინა, თამარ, ძმისწულები გურამ, სუსანა, ირაკლი, ლიზა, ავთანდილ, ტარიელ იუწყებიან გერმანე გალაქტიონის-ძე ომიაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IV ქ. ქუთაისში. გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 92.

ალექსანდრე და ვენერა ბრეგვაძეები, მიხეილ და მაყვალა სალუქვაძეები იუწყებიან ვარდენ ვარლამის-ძე წულუკიძის გარდაცვალებას.

ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მუშა მოსამსახურეები იუწყებიან ვლასა ივანეს-ძე კალანდაძის გარდაცვალებას.

მშობლები ვერა, ალექსანდრე, ძმა ალექსანდრე ჭუბაბრიები, ბებია ალვასი, ბიძა კოტე, ბიცოლა ალექსანდრა, ბიძაშვილები დარეჯან, ციცინო გურგენიძეები იუწყებიან გიორგი ალექსანდრეს-ძე ჭუბაბრიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-IV. 8 ს. გამოსვენება 4-IV, 6 ს. ქობულეთის ქ. № 5.

ლუბა და ვარდენ ბულაძეები ოჯახებით იუწყებიან ელისე ივანეს-ძე ანთელიძის გარდაცვალებას.

დიღმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ვასილ სოლომონის-ძე ფცქიალაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 2-IV, 5 ს. საქართველოს სამხედრო გზა № 3-ა.

მშობლები დომნა, ილია, დები ნაზი, მზია, დოდო, დეიდები ანტონინა, ანეტა, რიმა, ბიცოლები ბაბილინა, ნატა იუწყებიან ელენე ილიას ასულ ლომიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-IV, 4 ს. ქ. ბორჯომში პარიზის კომუნის ქ. № 7.

ბიცოლები მარო, თამარ, ბიძაშვილები ოლია, თამარ, სარა, ვახტანგ, ზურაბ, ივერ, რძლები ლიუდმილა, ნათელა წულუკიძეები, სიძეები ვ. გაგნიძე, ო. წულუკიძე შვილებით იუწყებიან ვარდენ ვარლამის-ძე წულუკიძის გარდაცვალებას.

მეუღლე ქენია, შვილები ნუნუ, კუკური, ძმა დიმიტრი, რძალი ეთერ, სიძე დავით ბულაძე, შვილიშვილები რუსუდან, ილია იუწყებიან ელისე ივანეს-ძე ანთელიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-IV ქ. მახარაძეში.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03. 3-82-05. პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67. სამდივნოსი — 3-06 88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84. მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61. მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-81-84. სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 3-80.84. საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83. კორესპონდენტთა ქსელის. საქმეთა მმართველობის — 3-06-68. წერილების — 3-73-24. განცხადებების — 3-51-81. გამომშვების — 3-81-65. გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41. სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00979 ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.